ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „**განათლების მეცნიერებები**“

ვერულიძე ნათია

სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საკითხები საქართველოში - არსებული ვითარების ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან სანაძე
განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

სკოლამდელი განათლება სწორედ ის მნიშვნელოვანი რგოლია განათლების სისტემაში, რის გასამართადაც აუცილებელია კვალიფიციური და კარგად მომზადებული აღმზრდელ-პედაგოგები. **თემის აქტუალობას** რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს - საქართველოში აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამები მხოლოდ პროფესიულ საფეხურზე არსებობს, საუნივერსიტეტო სივრცეში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სკოლამდელი განათლება მაინორის სახით, რომელიც დაწყებით განათლებასთანაა ჩაშენებული. სწორედ ამიტომ საქართველოში სკოლამდელი განათლების შესახებ კანონით აღმზრდელ-პედაგოგის საბაკალავრო საფეხურზე მომზადების საჭიროება არსებობს. თემის აქტუალობას ასევე იწვევს ისიც, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობს ადრეული განვითარების საბაკალვრო პროგრამის შემუშავების პროცესი.

კვლევის **მიზანია** საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საკითხების შესწავლა-ანალიზი ; პრაქტიკის კვლევა. იგი ძიებითი ხასიათისაა და ამიტომაც არ ვაყალიბებ ჰიპოთეზას.

თემის **ამოცანები:**

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოს და უცხო ქვეყნების მაგალითზე;
- საკითხის განსაზღვრა;
- მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ემპირიული კვლევა;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

კვლევის საგანი: საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება.

კვლევის ობიექტი: სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესი;

კვლევის მეთოდები :

- **თვისებრივი კვლევა**
- **სამაგიდე კვლევა** (ლიტერატურის ანალიზი);
- **ჩაღრმავებული ინტერვიუ:** საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და აღმზრდელ-პედაგოგებთან

კვლევის ინსტრუმენტი: წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომლის შემუშავების სქემას წარმოადგენს თვისებრივი კვლევის შედეგები.

კვლევის სამიზნე ჯგუფი : კერძო და საჯარო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგები (უმაღლესი განათლების მქონე); საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები.

საჯარო ბაღები: 31-ე; 107-ე.

კერძო ბაღები: ფრანგული სკოლის ბაღი; „ბაია“ ; „მიუმიუ“.

შერჩევის მეთოდი: მიზნობრივი. კვლევაში მონაწილეობდა 5 ბაღის (საჯარო და კერძო) 30 აღმზრდელ-პედაგოგი. საბაკალავრო პროგრამის 2 ხელმძღვანელი.

Annotation

Pre-school education is an important part of the education system and it is essential, being developed by qualified and well-trained educators. **The relevance of the research** is due to several factors, first of all, there are only professional educational programs for educators in Georgia and also, Ilia State University has a pre-school educational minor program, *which* is built with primary education. That is the main reason, due to the law of pre-school education in Georgia, it is obligatory to be bachelor programs for teacher education. In higher education institutions of Georgia there are process of creation of the early development bachelor programs, **that presents itself actuality of the research**.

The research aims to study and analyze issues of pre-school teacher education and preparation system in Georgia; Practice analyze.

The following tasks are needed to achieve the goals:

- Introducing and analyzing of scientific literature, based on examples of Georgia and the other countries;
- Determination of the issue;
- Development of methodology;
- Empirical research;
- Formation of conclusions and recommendations;
- Analysis of the research outcomes.

Research subject: Preparation process of pre-school education teachers/educators in Georgia.

Research methodology:

- Qualitative research
- Table research (literature analysis);
- Deeper Interview: With Bachelor Program Managers and Educators

Research tool: A pre-compiled questionnaire, based on the qualitative research results.

Target group: Private and public kindergartens educators (with higher education); Bachelor program executives.

Public Gardens: 31st; 107-th

Private gardens: The French school garden "Baia"; "Muyumu".

Selection Method: Targeted. The survey was attended by 30 educator- teachers of 5 kindergartens (public and private). Head of two Bachelor's Program.

სარჩევი

შესავალი..... 5

თავი პირველი.....8

1.1. სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება - საკითხის დასმა.....8

თავი მეორე (სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება -უცხოური გამოცდილება).....13

2.1. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი (რუსეთი).....13

2.2. აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამები (რუსეთი) 17

2.3. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი(ბელგია).....21

თავი მესამე (სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება საქართველოში).....34

3.1. საკანონმდებლო ბაზა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი საქართველოში.....34

3.2. აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამები.....41

3.3. განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი 52

კვლევითი ნაწილი.....55

დასკვნა.....61

რეკომენდაციები.....66

გამოყენებული ლიტერატურა.....69

დანართი #1

დანართი #2

შესავალი

სკოლამდელი განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ბავშვის განვითარებისთვის, საზოგადოებასთან ინტეგრაციისთვის. ეს ის პირველი საფეხურია, როდესაც ბავშვი ხდება სოციუმის წევრი და იწყებს განსხვავებულ საკითხებზე ფიქრს, მსჯელობას, სწავლას. იგი განსაზღვრავს მომავალში ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, მის ინტელექტუალურ, ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. აღნიშნულ სფეროს ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თუმცა ამასთან ერთად მის სტრუქტურას განაგებს ადგილობრივი თვითმმართველობა.

“კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” აყალიბებს დებულებას, რომლის მიხედვითაც უფლება აქვს, დააფუძნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება იურიდიული პირის ფორმით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ამტკიცებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წესდებას, რომელიც მის მუშაობის ძირითად პრინციპებს აერთიანებს.

2013 წლის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტში შეიქმნა სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველო, რომელმაც ამ პერიოდის განმავლობაში გამოსცა რამდენიმე მეთოდული სახელმძღვანელო, აღმზრდელთათვის და აღმზრდელის თანაშემწეებისათვის.

2015 წელს სახელმწიოს მიერ შემუშავდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რის შემდეგაც პროფესიულ სასწავლებლებში შეიქმნა სტანდარტზე დაფუძნებული აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამები.

„2016 წლის 8 ივნისს დამტკიცდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (N5366-IIს), რომელიც აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს; განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული და ფიზიკური

პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას“ (http://www.mes.gov.ge სკოლამდელი განათლების სტრუქტურა) .

2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან აღმზრდელებს მიენიჭათ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი. მანამდე კი, სკოლამდელ განათლებაში აღმზრდელობით საგანმანათლებლო საქმიანობას აღმზრდელი წარმართავდა, ხოლო მეორე სტატუსი იყო აღმზრდელის თანაშემწე, რომელიც აღმზრდელის სტატუსით გადაკვალიფიცირდა.

2019 წელს შეიქმნა აღმზრდელ-პედაგოგთა საბაკალავრო პროგრამის საპილოტე ვერსია - სკოლამდელი (ადრეული) განათლების ბაკალავრი (BA in Early Childhood Education).

სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საკითხების კვლევას საქართველოში - არსებული ვითარების ანალიზს.

ნაშრომზე მუშაობა გადავწყვიტე პირადი გამოცდილების საფუძველზე. 2015 წელს მიმიწვიეს ერთ-ერთ კერძო ბაღში და დავიწყე მუშაობა. არ მქონდა არანაირი გამოცდილება ამ ასაკის ბავშვებთან, რამაც შექმნა გარკვეული პრობლემები ჩემი მხრიდან და გამიჩნდა ინტერესი, გამეღრმავებინა ცოდნა სკოლამდელი განათლების საკითხებში.

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილავ სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზებს, პროგრამებსა და სტანდარტებს, ასევე განვიხილავ ორი ქვეყნის მაგალითს - ბელგია და რუსეთი.

კვლევის **მიზანია** საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საკითხების შესწავლა-ანალიზი ; პრაქტიკის კვლევა.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება. ხოლო **კვლევის ობიექტი** არის სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესი. რაც შეეხება **კვლევის მეთოდებს, გამოვიყენე :**

- **თვისებრივი კვლევა**
- **სამაგიდე კვლევა** (ლიტერატურის ანალიზი);

- **ჩაღრმავებული ინტერვიუ:** საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და აღმზრდელ-პედაგოგებთან

კვლევის ინსტრუმენტი არის **:** წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომლის შემუშავების სქემას წარმოადგენს თვისებრივი კვლევის შედეგები.

კვლევის სამიზნე ჯგუფი : კერძო (ფრანგული სკოლის ბაღი; „ბაია“ ; „მიუმიუ“) და საჯარო (31-ე; 107-ე) ბაღების აღმზრდელ-პედაგოგები (უმაღლესი განათლების მქონე); საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები.

შერჩევის მეთოდი: მიზნობრივი. კვლევაში მონაწილეობდა 5 ბაღის (საჯარო და კერძო) 30 აღმზრდელ-პედაგოგი. საბაკალავრო პროგრამის 2 ხელმძღვანელი.

თავი I

1.1.სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება - საკითხის დასმა.

საბავშვო ბაღი არის სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს. მისი უმთავრესი მიზანია პირველადი მინიმალური ცოდნის მიცემა ბავშვებისათვის, მათი ფიზიკური, ინტელექტუალური და მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდა. პირველი დაწესებულება სახელწოდებით „სკოლა ჩვილებისათვის“ გაიხსნა 1802 წელს შოტლანდიის სოფელ ნიუ-ლენარკში. გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისელ ფილოსოფოსსა და პედაგოგს - რობერტ ოუენი (1771-1858წწ). მას ფორმირებული ჰქონდა ბავშვების აღზრდისათვის და განათლებისთვის აუცილებელი პრინციპები, რომელმაც დიდი გამოძახილი ჰპოვა საზოგადოებაში.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო დაწესებულებას პირველად „საბავშვო ბაღი“ გერმანელმა პედაგოგმა და სკოლამდელი აღზრდის თეორეტიკოსმა - ფრიდრიხ ვილჰელმ ავგუსტ ფრიობელმა (1782-1852წწ) უწოდა. მან 1837 წელს გერმანიის ქალაქ ბად-ბლანკენბურგში დააარსა-„Kindergarten”-ი რომელიც „საბავშო ბაღს“ აღნიშნავს. „ბავშვებზე ისევე უნდა ვიზრუნოთ, როგორც მცენარეებზე ვზრუნავთ“- წერდა ფრიობელი.

1851-1860 წწ-ში პრუსიაში აიკრძალა საბავშვო ბაღები. თუმცა, მოგვიანებით, გერმანიაში იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვა, რომ მალევე ძალიან ბევრ წვეყანაში დაინერგა ბაღის პრაქტიკა. პირველი საბავშვო ბაღი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა 1873 წელს ქალაქ სენტ-ლუისში და მის გახსნას ხელმძღვანელობდა ამერიკელი პედაგოგი- სიუზენ ბლოუმი (1843-1916წწ), რის გამოც მისი სახელი შეიტანეს სენტ-ლუისის „დიდების ხეივანში“.

თურქმენეთში დამკვიდრებული წესის თანახმად, მშობელი, რომელსაც საბავშვო ბაღში შეჰყავს თავისი პატარა, ვალდებულია შეავსოს სპეციალური კითხვარი, სადაც დეტალური ინფორმაცია უნდა აისახოს არამხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებისა, არამედ 3 თაობის წინანდელი ნათესავების შესახებაც. ამის გარდა კითხვარში უნდა ჩაიწეროს საპასპორტო მონაცემები, სამუშაო ადგილი და ოჯახის წევრთა ნასამართლეობაზე ინფორმაცია.

XI-XII საუკუნეებამდე გვხვდება ორი მნიშვნელოვანი ტერმინი - **აღმზრდელი,** რომელიც მასწავლებლის მნიშვნელობით იხმარება და **გამზრდელი** იგივე მოსწავლე. გამომდინარე იქიდან რომ, ფეოდალიზმის ხანაში ვხვდებით რამდენიმე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას - გელათი, იყალთო და პეტრიწონი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობდა გარკვეული ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულები, რომლებშიც ბავშვები ეუფლებოდნენ განათლებას, თუმცა წერილობით წყაროებზე მათ შესახებ საუბარი არ არის.

XVIII საუკუნიდან საქართველოში სწავლა-განათლება მეტად ორგანიზებულ ხასიათს იღებს, 1755 წელს ანჩისხატის ეზოში დაარსდა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სემინარია და 1782 წელს - თელავის სემინარია. მოგვიანებით, XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისსში ფეხს იკიდებს სხვადასხვა სახის სასწავლო დაწესებულება, თუმცა ამ პერიოდშიც არ გვხვდება სკოლამდელი განათლების ფორმა.

სკოლამდელი განათლების საკითხი განსაკუთრებით გამოიკვეთა XX საუკუნის დასაწყისში, საქართველო ამ პერიოდში ერთიანდება საბჭოთა კავშირის სივრცეში, ისევე როგორც მმართველობის ყველა სფეროში, განათლების კუთხითაც, საქართველო იმავე პოლიტიკის განმახორციელებელი გახდა, რასაც ერთიანი საბჭოთა პოლიტიკა ერქვა. XX საუკუნის დასაწყისში დღის წესრიგში დგება აღმზრდელთა მომზადების საკითხი ახალი მიდგომებით. მიუხედავად იმისა, რომ წინარე გამოცდილება საკმაოდ იყო დაგროვილი, არსებობდა სხვადასხვა სახის მიდგომა, როგორიცაა ფ. ბრებელი, მ. მონტესორის სისტემები, ამ პერიოდში იქმნება სხვადასხვა სახის მოსამზადებელი

კურსები, მაგალითად- „ტიხომიროვის კურსები“, პეტერბურგში- ფრებელის კურსები. ცოტა მოგვიანებით, 30-იან წლებში, შეიქმნა უფრო მოკლევადიანი კურსები, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო რამდენიმე კვირიანი ან თვიანი. განსაკუთრებული როლი აღმზრდელთა მომზადების საკითხში ითამაშა პ.პ. ბლონსკიმ, რომელიც მუშაობდა სკოლამდელი აღზრდის ყველასათვის მისაწვდომ კურსზე. ის ამტკიცებდა, რომ ყოველი პედაგოგი ბავშვში უნდა ხედავდეს პიროვნებას და ასე გეგმავდეს საკუთარ საქმიანობას. სწორედ ამიტომ, აუცილებლად მიაჩნდა შექმნილიყო მყარი თეორიული კურსი, რათა აღმზრდელი შეიარაღებულიყო იმ ცოდნით , რაც ბავშვს ეხება.

1938 წელს საბჭოთა კავშირში გამოიცა წიგნი, რომლის სახელიც იყო „ძირითადი სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის და საბავშვო ბაღის წესდება“, იგი გამოცემულ იქნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს მიერ. წიგნში სტრუქტურირებულადაა წარმოდგენილი აღმზრდელის ძირითადი მოვალეობები და ვალდებულებები, რომელიც მან უნდა შეასრულოს სკოლამდელ დაწესებულებაში. წიგნში ცალკე თავად არის გამოყოფილი საბავშვო ბაღის აღმზრდელი, კონკრეტულად კი 27-ე პარაგრაფი არეგულირებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აღმზრდელის მიმართ. რომლის თანახმადაც, საბავშვო ბაღის აღმზრდელს დამთავრებული უნდა ჰქონდეს პედაგოგიური სასწავლებელი, ან დასრულებული საშუალო განათლება და გავლილი ჰქონდეს სპეციალური მომზადება სკოლამდელთა კურსებზე. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოსამზადებელი სასწავლებელი, რომელიც ფუნქციონირებდა საშუალო სკოლის ბაზაზე არის პროფესიული განათლების თვალსაჩინო ნიმუში. XIX საუკუნის 40-იან წლებში საჭიროებებიდან გამომდინარე ხდებოდა კადრების მომზადება მოკლევადიან პერიოდში, თუმცა, არსებობდა ის ძირითადი რეგულაციები, რომლებიც ვრცელდებოდა აღნიშნულ პროფესიაზე. აღნიშნული სახელმძღვანელო სწორედ ამის მაგალითია.

საქართველოში პირველი პედაგოგიური სასწავლებელი გაიხსნა 1921 წელს, სკოლამდელი განყოფილება კი 1953 წელს დაემატა. ბათუმის პედაგოგიურ უნივერსიტეტში სკოლამდელი განყოფილება - 1983 წელს, პედაგოგიური უნივერსიტეტის სკოლამდელმა

ფაკულტეტებმა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება დაიწყეს აგრეთვე ქუთაისსა და თბილისშიც.

XIX საუკუნის 40-იან წლებში პედაგოგიურ სასწავლებლებსა და პედაგოგიური უმაღლესი განათლების სკოლამდელ ფაკულტეტებზე სტუდენტებს ძირითადად ასწავლიდნენ იმას, თუ როგორ უნდა ჩაეტარებინათ მეტყველების, მოძრაობის, გასეირნების აქტივობები. XIX საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ დაგდა საკითხი, რომ აღმზრდელ-პედაგოგები არ აკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნებსა და გამოწვევებს, რომლებიც მათ წინაშე იდგა, ისინი ვერ ახერხებდნენ ინდივიდუალური მიდგომების განხორციელებას, რაშიც ხელს უშლიდათ ზედმეტად ფორმალიზებული გარემო.

60-იანი წლებიდან ყალიბდება მეცნიერული მიდგომები აღმზრდელი პედაგოგის მიმართ, გამოიყოფა ისეთი ნიშნები, როგორიცა

- **მიზნები** (პროფესიული ცოდნა, უნარი, ჩვევები) ;
- **შინაარსი** (პროფესიული მომზადების შინაარსი);
- **საშუალებები** (მეთოდები და ორგანიზაციის ფორმები).

ამ სტრუქტურის მიხედვით, საბავშვო ბაღის აღმზრდელი უნდა პასუხობდეს შემდეგ სამ მოთხოვნას - უნდა იყოს, უნდა იცოდეს, უნდა შეეძლოს.

2008 წლიდან სამინისტრომ მუშაობა დაიწყო მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებზე და ამავე წელს გამოსცა სხვადასხვა დამხმარე მეთოდოლოგიური მასალა და სარეკომენდაციო სტანდარტი. 2010-2011 წლებში სამინისტრომ რამდენიმე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო შეიმუშავა აღმზრდელი-პედაგოგებისათვის. დღეისათვის სკოლამდელი განათლების აღმზრდელთათვის პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობა არსებობს. მათთვის შეთავაზებულია კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ტრენინგები, თუმცა ისინი არაფორმალურ ხასიათს ატარებს და ნაკლებ თანმიმდევრულია. დღეისათვის საქართველოში შემუშავებულია აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

ამ ისტორიიდან ნათელად ჩანს, რომ სკოლამდელ განათლებას საბჭოთა პერიოდში უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე ახლა. თუმცა აღსანიშნავია, რომ იგეგმება საბავშვო ბაღების პედაგოგთა გადამზადება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პირველადი დახმარების გაწევა, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს თითოეულმა მოქალაქემ (არამარტო პედაგოგებმა). აქვე აღვნიშნავ, რომ 2019 წელს სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა პირველი ნაკადია, რომელთაც მიეცათ წინა წლებთან შედარებით სრული განათლება და აღმზრდელისათვის საჭირო ინფორმაცია გააჩნიათ, რაც იმედს გვაძლევს, რომ მომავალში ბავშვები უკეთესად დაეუფლებიან იმ საჭირო უნარებს, რაც აუცილებელია სკოლისათვის მზაობის პროცესში.

თავი II

(სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება -უცხოური გამოცდილება)

2.1 საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი (რუსეთი)

რუსეთის თანამედროვე სკოლამდელი მდგომარეობა მწყობრ და სისტემურ ხასიათს ატარებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მთავარი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლამდელ განათლებას, ეს არის „რუსეთის ფედერალური კანონი განათლების შესახებ“. ყველა სახის განათლებას საერთო კანონი არეგულირებს - „რუსეთის ფედერალური კანონი განათლების შესახებ“ (Федеральный закон от 29 декабря 2012 г. N 273-ФЗ "Об образовании в Российской Федерации") . კანონი შემუშავებულია 2012 წლის 21 დეკემბერს და ძალაში შესულია 29 დეკემბერს დადგენილებით - # 273- ФЗ. კანონის რეგულაციის სფეროს წარმოადგენს სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება. მის თანახმად რუსეთის ფედერაციაში უფასო და ხელმისაწვდომია ყველა ტიპის განათლება გარდა უმაღლესისა.

კანონის 1-ელ თავში წარმოდგენილია ტერმინთა განმარტება, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე განვმარტავთ შემდეგ ტერმინს:

პედაგოგიური მუშაკი - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქმიანი ურთიერთობა ორგანიზაციასთან, ახორციელებს საგანმანათლებლო საქმინობას. მის ვალდებულებას წარმოადგენს: სწავალა, აღზრდა, საქმიანობის ორგანიზაცია.

კანონის მე-5 თავი არეგულირებს პედაგოგიურ საქმიანობას, უნდა ითქვას, რომ კანონის სპეციფიკიდან გამომდინარე ის ეხება ყველა საფეხურზე მოქმედ პედაგოგს, გამონაკლისს მხოლოდ პროფესორები წარმოადგენენ. ამავე თავის 46-ე მუხლი არეგულირებს პედაგოგთა განათლების საკითხებს, პედაგოგიური საქმიანობის დაკავების უფლება აქვს: საშუალო პროფესიული, უმაღლესი პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე პირს, ამავე დროს, აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებს საკვალიფაციო მოთხოვნებს

შესაბამისი პოზიციისათვის და ან პრფესიულ სტანდარტებს. ამავე თავის 48-ე მუხლი არეგულირებს პედაგოგის უფლებებსა და მოვალეობებს, პედაგოგი ვალდებულია: საქმიანობა განახორციელოს უმაღლეს პროფესიულ დონეზე, მოახდინოს რეალიზაცია საკუთარი ცოდნის საგნის, კურსის, დისციპლინის ფარგლებში. დაიცვას ეთიკური, კანონის ნორმები, პატივი სცეს აღსაზრდელებს, სტუდენტებს ან მოსწავლეებს, ყველა მონაწილეს, ვინც ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში. გამოავლინოს ცოდნა, მეთოდები და პიროვნულ-სოციალური მახასიათებლები. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეუქმნას გარემო, იზრუნოს პროფესიული ცოდნის ამაღლებაზე. გაიაროს სერტიფიცირება.

კანონის მე-7 თავის რამდენიმე მუხლი არეგულირებს სკოლამდელი განათლების საკითხებს.

64-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი აღწერს სკოლამდელი განათლების ფორმებსა და ამოცანებს. სკოლამდელი განათლება მიზნად ისახავს, საერთო კულტურის ფორმირებას, განავითაროს ბავშვში, ფიზიკური, ესთეტიური, პიროვნული, გონებრივი თვისებები. პასუხისმგებელია ბავშვების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ამავე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი არეგულირებს სკოლამდელი დაწესებულებების გარემოს, ამის მიხედვით გარემო უნდა უყოს განვითარების შესაბამისად მოწობილი, ის უნდა ამზადებდეს ბავშვებს დაწყებითი განათლებისათვის.

რუსეთის ფედერაციული კანონი განათლების შესახებ მიღებულია განათლების სამინისტროს მიერ. როგორც მისი ანალიზი გვიიიჩვენებს, რომ მასში გამიჯნულად არ არის განხილული სხვადასხვა საფეხურის მასწავლებელი. შეიძლება ითქვას, რომ სკოლამდელი განათლების აღმზრდელი პედაგოგისათვის შესაძლებელია ორი ტიპის განათლება, ერთი ესაა პროფესიული კოლეჯი და მეორე უნივერსიტეტი. ამასთან, მასწავლვებელს ევალება საკუთარი კომპეტენციის დადასტურება შესაბამისს სტანდარტთან სასერტიფიკაციო გამოცდებით.

პროფესიული სტანდარტი

რუსეთის ფედერაციული სტანდარტი პედაგოგთა შესახებ მიღებულია 2013 წელს, იგი არეგულირებს სკოლამდელი, დაწყებითი, ზოგადი და საშუალო საფეხურის მასწავლელების კომპეტენციასა და კვალიფიკაციას. სტანდარტში თითოეული საფეხურის მასწავლებლის კომპეტენციები ცალ-ცალკე არის სტრუქტურირებული.

სტანდარტის მიზანს წარმოადგენს, რეგულაცია გაუკეთოს სხვადასხვა პროგრამას, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებენ აღნიშნული მიმართულებით. სტანდარტი არეგულირებს ორი სახის პროფესიულ განათლებას, ესაა - მაღალი პროფესიული განათლება, რომელიც არის მეექვსე საფეხურის და საშუალო პროფესიული განათლება, რომელიც გაეკუთნება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს. სტანდარტი აღმზრდელის საქმიანობას სამი მიმართულებით არეგულირებს: შრომითი საქმიანობა, უნარ-ჩვევები და აუცილებელი ცოდნა. ნაშრომის სტრუქტურიდან გამომდინარე, თითოეულ მოთხოვნას განვიხილავთ დაწვრილებით.

შრომითი საქმიანობა:

- მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში ბავშვთა საკეთილდღეოდ;
- გაითვალისწინოს ბავშვების ემოციური ფონი და შექმნას უსაფრთხო გარემო;
- ადრეული და სკოლამდელი ასაკის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და ანალიზი;
- სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინება;
- პოზიტიური გარემოს შექმნა, მაღალი ინტერკულტურული მიმღებლობის გამოვლენა;
- თამაშის როლის ცოდნა, და აქტივობების დაგეგმვა ისე რომ, თითოეულ თამაშს ჰქონდეს განმავითარებელი დატვირთვა;
- ბავშვისათვის თავისუფალი გარემოს შექმნა, არჩევანის საშუალების მიცემა;
- სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ საქმიანობებში ჩართვა;

- ბავშვის ინიციატივების მხარდაჭერა;
- პირდაპირი ურთიერთობები თითოეულ ბავშვთან მათი ინდივიდუალობიდან გამომდინარე;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა;

აუცილებელი უნარ-ჩვევები:

- ფიზიკური განვითარებისათვის შესამაბისი მეთოდების გამოყენება;
- გონებრივი განვითარებისათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენება;
- ბავშვების დახმარება განვითარების ყველა ეტაპზე;
- მშობლებთან ურთიერთობები და დაგეგმვა ბავშვის სასიკეთო ქომედებების;
- ფლომდეს და იყენებდეს ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს;
- დაგეგმვის აუცილებელი უნარების ფლობა;

აუცილებელი ცოდნა:

- სკოლამდელი განათლებისა და დაწესებულების სპეციფიკის ცოდნა;
- ფსიქოლოგიური განვითარების ფაზების ცოდნა;
- ინდივიდუალური და სკოლამდელი პედაგოგიკის ფლობა;
- ბავშვის განვითარების საფეხურების ფლობა;
- განვითარებისა და ჩამოყალიბების მახასიათებლების ცოდნა ადრეულ და სკოლამდელ პერიოდში;
- ფიზიკური განვითარების თავისებურებების ცოდნა;
- თანამედროვე ტენდენციების ცოდნა, სკოლამდლი განათლების სისტემაში;
- ეთიკური ნორმების ცოდნა;

სტანდარტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის არეგულირებს როგორც პროფესიული საქმიანობის, ასევე ცოდნისა და უნარ-ჩვევების სფეროს. მასში გაერთიანებულია ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ევალება აღმზრდელს.

2.2. აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამები (რუსეთი)

საბაკალავრო პროგრამა

თანამედროვე მდგომარეობის თანახმად რუსეთში სკოლამდელი განათლების აღმზრდელის მომზადება შესაძლებელია, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიულ დონეზე, ამ პარაგრაფში განვიხილავთ საბაკალავრო პროგრამას, რომელსაც ახორციელებს მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (московского педагогического государственного университета) . უნივერსიტეტი აქვს 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც მოიცავს რვა სასწავლო სემესტრს, 4 წელს. გამომდინარე იქიდან , რომ რუსეთის უმაღლესი განათლების სისტემა შეერთებულია ბოლონიის პროცესს სასწავლო საგნების რაოდენობა დაანგარიშებულია კრედიტების სახით.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს, მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური თანამშრომლები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, ხელი შეუწყოს თითოეულ სტუდენტს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მოახდინოს ინტერესებისამებრ სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

პროგრამის შინაარსი აგებულია იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური თავისებურება, მათ შორი გათვალისწინებული იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. სწავლის ფარგლებში გამოყენებულ იქნას მრავალმხრივი ტექნოლოგიები.

პროგრამა „სკოლამდელი განათლება და ფსიქოლოგია“ იყოფა მოდულებად, რომელშიც შემავალი საგნების პრიორიტეტულობა გადანაწილებულია საათების მიხედვით. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე საგნები გადანაწილებულია შემდეგ მოდულებში - ძირითადი მოდული, რომელიც იყოფა ორ ქვემოდულად, სოციალურ-კულტურული მოდული და თეორიული და ექსპერიმენტული პროფესიული საქმიანობის

მოდული, აგრეთვე გვაქვს სავალდებულო არჩევითი მოდული, არჩევითი მოდული და პრაქტიკის მოდული. სამაგისტრო თემის ფარგლებში განვიხილავთ თითოეულ მოდულში შემავალ საგნებს, და იმ კომპეტენციებს, რომელიც მიიღწევა საგნისა თუ მოდულის გავლის შემდეგ.

ძირითადი მოდული (სოციალურ-კულტურული მოდული) აღნიშნული მოდულის მიზანს წარმოადგენს, სოციალურ-ფილოსოგიური ღირებულებების ჩამოყალიბება, აგრეთვე ანალიზი ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის მოქალეობრივ-კულტურულ ასპექტში. აღნიშნულ მოდულს დათმობილი აქვს 665 საათი, რაც მოდულებს შორის ყველაზე ხანგრძლივ დროს წარმოადგენს. მოდულში გაერთიანებულია შემდეგი საგნები:

- ისტორია;
- ფილოსოფია;
- უცხო ენა;
- მეტყველებისა და წერის კულტურა;
- კულტურული პრაქტიკა;

პირველი მოდულის მეორე ნაწილი (თეორიული და ექსპერიმენტული პროფესიული საქმიანობის მოდული). სამაგისტრო თემის ფარგლებში აღწერილი იქნება მოდულის შინაარსი და თითოეულ საგანზე არ გაკეთდება აქცენტი. მოდულის მიზანს წარმოადგენს, მისცეს სტუდენტს თეორიული ცოდნა სხვადასხვა მიმართულებებით, უპირველესად აქცენტი გაკეთდეს ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაზე. აღნიშნულ მოდულში შემავალი ყველა საგანი სავალდებულოა, სტუდენტს უნდა შეეძლოს

საბაზისო თეორიული ცოდნა გამოიყენოს სხვადასხვა სფეროში საქმიანობისათვის, განახორციელოს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესი, ისე, რომ სწორად დაგეგმოს საქმინობა და გაითვალისწინოს ბავშვების განვითარების დონე. ნაწილში გაერთიანებულია შემდეგი საგნები:

- ფსიქოლოგიური პედაგოგიკის საფუძლე
- ფსიქოლოგია და პედაგოგიკა;
- სკოლამდელი განათლების სისტემა ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში;
- პროფესიული საზოგადოების ტრენინგი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები სწავლების პროცესში;
- დარგობრივი უცხო ენა;
- ფორმალური კულტურა ჯანმრთელობის;
- ფიზიკური კულტურა და სპორტი;
- უსაფრთხოება;
- ანატომია და ბავშვის ფიზიოლოგია;
- პედეატრიის საფუძვლები;
- ბავშვის განვითარების ფსიქოლოგია და პედაგოგიკა;
- ბავშვობის ფენომენი;
- სკოლამდელი პედაგოგიკა;
- ბავშვთა სოციალიზაცია ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
- ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პრაქტიაკა.

შემდეგი მოდული არის სავალდებულო არჩევითი, რომელსაც 330 საათი აქვს დათმობილი. მოდულში შემავალი საგნები თავისი შინაარსით არის მრავალფეროვანი და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა არსებული საგნებიდან 330 საათის ფარგლებში გაიაროს მისი სურვილისამებრ. თუმცა ამ საათების დაფარვა აუცილებლობას წარმოადგენს. მოდულის ფარგლებში. სტუდენტი ეცნობა ინკლუზიური განათლების პრინციპებს, სწავლის მეთოდებსა და მიდგომებს. აგრეთვე, საგნების გარკვეული რაოდენობა ემსახურება სტუდენტმა მიიღოს ცოდნა თამაშის, მუსიკისა და სპორტის მნიშვნელობის შესახებ

სააღმზრდელო პროცესში. მოდულის გავლის შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს აღნიშნული თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენება. მოდულის მიზანს ფარავს შემდეგი საგნები:

- ბავშვის პიროვნების განვითარების სხვადასხვა სახეები;
- თამაშის ფსიქოლოგია და პედაგოგიკა;
- კვლევითი საქმიანობა;
- მუსიკალური საქმიანობა;
- ემოციური კეთილგანწყობილი გარემო ბაღში;
- კოლექტივთან მუშაობის საფუძვლები;
- ინკლუზიური განათლება;
- ბავშვის ფსიქოლოგიის განვითარების ეტაპები;
- ფსიქოლოგიურ პედაგოგიური საფუძვლები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამაში გამოყოფილია არჩევითი მოდული. მის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დაფაროს 173 საათი. საგნების ჩამონათველი მრავალფეროვაანია, გათვალისწინებულია სტუდენტების სხვადასხვა ინტერესები. არჩევითი მოდულის განსხვავებული სააგნები სტუდენტს აძლევს საშუალებას გააღრმაოს ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით. არჩევით მოდულში ისწავლება შემდეგი საგნები:

- ფიზიკური გარემო;
- კულტუროლოგია;
- რელიგიათმცოდნეობა;
- პოლიტოლოგია;
- მსოფლიო ფერწერის კულტურა;
- აქტიური მეთოდები სწავლებაში;
- პედაგოგის თვითგანვითარება;

პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი პრაქტიკას, მისი საკონტაქტო დროის ხანგრძლივობას 1080 საათი შეადგენს. პრაქტიკის გავლა სტუდენტს

შეუძლია ექვსი მიმართულებით. ხუთი მიმართულების მიზანს წარმოადგენს, სტუდენტმა თეორიული მასალა გადაიტანოს პრაქტიკულ სივრცეში და დაეუფლოს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც გამოადგება საბავშვო ბაღში მუშაობისათვის. პრაქტიკის მეექვსე ნაწილი არის დიპლომის მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა პრაქტიკული უნარების დაუფლებას, აგრეთვე მასში შედის საკონსულტაციო საათები. პტაქტიკის მოდული შედგება შემდეგი მიმართულებეისაგან:

- სასწავლო პრაქტიკა;
- გაცნობითი პრაქტიკა;
- სასწავლო-კვლევითი პრაქტიკა;
- საზაფხულო პრაქტიკა;
- ფსიქოლოგიური უნარების პრაქტიკა;
- დიპლომამდელი პრაქტიკა;

პროგრამის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში სტრუქტურირებულად არის ჩამოყალიბებული მიმართულებები და მათი ერთიანობა, სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას დაძლიოს პროგრამის მთავარი მიზანი. მნიშვნელოვანია თითოეულ მოდულში შემავალი საგნების მრავალფეროვნება, რომელიც სტუდენტს აძლევს მრავალმხრივი განათლების შესაძლებლოს. ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს პროგრამის პრაქტიკული ნაწილი წარმოადგენს, რომელსაც დათმობილი აქვს საკონტაქტო საათების თითქმის ნახევარი. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამ აღწერა და მოდულების შინაარსობრივი მხარე სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს ცოდნა, რომელიც იქნება პროგრამასთან შესაბამისობაში.

2.3. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი(ბელგია)

ბელგიაში კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქიაა, იგი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული (თითქმის 11 მილიონი ადამიანი ცხოვრობს 30,527.9

კვადრატულ კილომეტრზე). მას აქვს სამი ოფიციალური ენა: ჰოლანდიური, ფრანგული და გერმანული. ბელგიაში განათლება ორგანიზებულია სამი თემით (ფლამანდური, ფრანგული და გერმანული). ფედერალური სახელმწიფო მხოლოდ პასუხისმგებელია:

- სავალდებულო განათლების დაწყებისა და დასასრულის განსაზღვრაზე,
- დიპლომების დაბალანსება, მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრა,
- საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთათვის საპენსიო სისტემის რეგულირება.

ბელგიის კონსტიტუცია უზრუნველყოფს "განათლების თავისუფლებას" (მუხლი 24). ეს ორმხრივი თავისუფლებაა:

- აქტიური თავისუფლება ყველა ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს, რომ ორგანიზება გაუწიოს განათლებისა და ამ მიზნით ინსტიტუტების შექმნას;
- სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლების არჩევანის თავისუფლება.

ბელგიაში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ხუთი ძირითადი ტიპია:

ა. კვალიფიციური ძიძის განათლება (3-6 წლის ასაკიდან)

ბ. დაწყებითი განათლების კვალიფიკაცია (6-12 წლის ასაკიდან)

გ. მასწავლებელთა კვალიფიკაცია 2 ან 3 საგანში, პირველი და მეორე ხარისხი საშუალო განათლებისა. (12-16 წლამდე)

დ. კვალიფიკაცია, რათა ასწავლონ ტექნიკური/პროფესიული საგნები (12-18 წლის ასაკიდან)

ე. კვალიფიკაცია, რათა ასწავლონ საშუალო განათლების მე2 და მე3 საფეხურზე (15-18 წელი)

თითოეული ეს კვალიფიკაცია განათლების სისტემაში სპეციფიკურ დონეს ამზადებს. მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან სპეციალურ განათლებას, უნდა გააჩნდეთ ერთ-ერთი კვალიფიკაცია მაინც.

ამჟამად, არსებობს სამი დონე QF- ის საწყის პედაგოგიური განათლებისა, რომელიც მოქმედებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და მასწავლებლების სხვადასხვა კატეგორიებში:

1) უმაღლესი განათლების კოლეჯი;

2) ე.წ. "სოციალური ხელშეწყობის" სისტემა (ნახევარ განაკვეთზე, პროფესიული მასწავლებლები);

3) საუნივერსიტეტო დონეზე პედაგოგთა გადამზადების დეპარტამენტები.

სავალდებულო განათლების დასაწყისი და დასასრული იქმნება მთავრობის მიერ. დაწყებითი განათლება, ძირითადად, 2.5-დან 12 წლამდე, მოიცავს საბავშვო ბაღსა და პირველად განათლებას. 1983 წლის 29 ივნისს სავალდებულო განათლების შესახებ მითითებულია, რომ არასრულწლოვნები- ბელგიელები და უცხოელები ერთდროულად ექვემდებარებიან სავალდებულო განათლებას 12 წლის ვადით. ის იწყება სასკოლო წელს, რომლის დროსაც ბავშვი 6 წლისაა და მთავრდება 18 წლის ასაკში (Filip Van Droogenbroeck; Vrije Universiteit Brussel, Interface Demography; Helga A.G. de Valk-Netherlands Interdisciplinary Demographic Institute). https://www.perfar.eu/policy/education/belgium

წინასწარი დაწყებითი განათლება 2-6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ბელგიაში განათლების სისტემის ნაწილია, პირველადი სკოლების (1999) შესახებ დადგენილებაში განსაზღვრული ზოგადი მიზნები მიემართება ბაღებსა და პირველად სკოლებს. მიზნები მოიცავს სოციალურ-ემოციურ, ინტელექტუალურ, ფსიქომოტორულ და მხატვრულ სფეროებს. კანონმდებლობა, ძირითადად, მოიცავს ორივეს: ბაღსა და პირველად სკოლებს. კონსტიტუცია ქმნის საერთო ჩარჩოს, რომელიც ხაზს უსვამს განათლების თავისუფლებას და სქესის, რასის, ეთნიკური ან რელიგიის მიუხედავად, თანასწორობის პრინციპზეა აგებული.

ფლამინდური საზოგადოება:

ახალი მთავრობის დადგენილება ბავშვზე ზრუნვის ორგანიზაციის შესახებ (Decreet Opvang van Baby's en Peuters) ძალაში შევიდა 2014 წლის აპრილში, სრულად განხორციელდება ათი წლის განმავლობაში. ამ თარიღის შემდეგ, ყველა პარამეტრს უნდა ჰქონდეს ლიცენზია და რეგულარულად შემოწმდეს მთავრობის მიერ, - სააგენტო " Kind en Gezin" . კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, რომ ყველა იმ პირს, რომელიც ჩართულია ბავშვზე ზრუნვაში, უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია 2024 წლისთვის.

საფრანგეთის თანამეგობრობა:

ერთიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნებია : "ხარისხი, თანასწორობა, ეთიკა, უწყვეტი და სამართლიანი მკურნალობა". სააგენტო მხარს უჭერს ბავშვთა განვითარებას ოჯახში და სოციალურ საზოგადოებაში ეხმარება დედებს და ოჯახებს სამედიცინო და სოციალურ საკითხებში ბავშვთა კეთილდღეობაზე.

გერმანული ენა:

ბავშვზე ზრუნვის შესახებ (2007) მთავრობის განკარგულების თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია თითოეული მათგანს შესთავაზოს ბავშვი, მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებების მიხედვით. ჰქონდეს ოპტიმალური შანსები განვითარებისათვის, მიუხედავად რასისა, ეროვნება, გენდერისა ან იდეოლოგიისა.

(Eurydice 2015; Kind en Gezin 2015.; ONE 2017. Peeters, J., F. Pirard and colleagues 2017. Statistik-Portal der Deutschen Gemeinschaft 2017b. http://www.seepro.eu/English/pdfs/BELGIUM_Key_Data.pdf Inge Schreyer and Pamela Oberhuemer – BELGIUM Key Contextual Data page 3)

პროფესიული სტანდარტი:

სწავლა და სწავლება

დაწყებითების მასწავლებელი	სერთიფიცირებული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
აქვს სათანადო ცოდნა Te Whāriki- ის და ამჟამინდელი სწავლა-სწავლებისა და შეფასების თეორიებისა.	კომპეტენტურია Te Whāriki- ის შინაარსის გაგებაში	ამჟღავნებს მაღალი ხარისხის ცოდნას Te Whāriki- ის , მიმდინარე სწავლა-სწავლებისა და შეფასების თეორიებში.	სასწავლო დიზაინი. სასწავლო პროგრამა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასებას, თითოეული მოსწავლის სიძლიერის, ინტერესების, საჭიროებების, იდენტობის, ენებისა და კულტურის გაგებას.
სწავლა-სწავლებისა და შეფასების თეორია			
	დემონსტრირებს და განიხილავს მიმდინარე სწავლა-სწავლებისა და შეფასების თეორიებს	დემონსტრირებს მიმდინარე სწავლა-სწავლებაზე	**პროფესიული სწავლება.** არის ძიებითი ხასიათის, იყენებს ერთობლივად პრობლემის მოგვარების გზებსა და პროფესიულ სწავლებას, რათა გაუმჯობესოს პროფესიული შესაძლებლობები ყველა მოსწავლის სწავლისა და მიღწევის შესახებ.

დაწყებითების მასწავლებელი	სერთიფიცირე-ბული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
აჩვენეთ ვეიტანგის, მაორის ენისა და კულტურის ხელშეკრულების გავლენა	.ვაიტანგის, მაორის ენისა და კულტურის ხელშეკრუ-ლების ცოდნა	.ვაიტანგის, მაორის ენისა და კულტურის ხელშეკრუ-ლების ცოდნა	**ვაიტაგანის პარტნიორობის ხელშეკრულება**. წარმოაჩინეთ კაცობრიობისადმი ერთგულება და ვეიტანგის პარტნიორობის ხელშეკრულება ახალ ზელანდიაში.
Te Whariki-ს განხორციელება			
მხარს უჭერს ბავშვებს გაზარდონ თავიანთი როლი სწავლასა და მზრუნველობაში	.შესაბამისი სასწავლო გეგმის დემონსტრირება, შეფასება და შეფასების პრაქტიკა, რომელიც შეესაბამება Te Whāriki პრინციპებს.	დემონსტრირება გამოცდილებისა და დახვეწილი მიდგომების ყველა ასპექტში, პროგრამების შეფასება და შეფასების პრაქტიკა.	**დიზაინის სწავლა.** დიზაინის სწავლა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასების ინფორმაციას და თითოეული მოსწავლის სიძლიერის გაგებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ვინაობას, ენებსა და კულტურას.

სწავლა-სწავლების სტრატეგიები (რესურსებისა და ტექნოლოგიების ჩათვლით)

დაწყებითების მასწავლებელი	სერთიფიცირე-ბული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
ასახავს მოქნილობას და რეაგირებს წახალისების უზრუნველყოფა ზე, სითბოსა და მიმღებლობაზე, რომლებიც ერთად დგას შემოქმედებითი გამოწვევებისა და კომპლექსური აზროვნების წინაშე.	შეაფასოს და ასახოს სწავლა-სწავლება გაუმჯობესების მიზნით	.მუდმივად აფასებენ და აანალიზებენ თავიანთ სწავლებას და სხვა სფეროებს სადაც შეიძლება გაუმჯობესება.	**სწავლება.** ასწავლე და უპასუხე მოსწავლეებს ცოდნის და ადაპტირების გზაზე მათი სწავლის სათანადო სიღრმეში და ტემპით პროგრესის მისაღწევად. **პროფესიული სწავლება.** გამოიყენეთ გამოძიება, ერთობლივად პრობლემის მოგვარება და პროფესიული სწავლება, რათა გააუმჯობესოთ პროფესიული შესაძლებლობები ყველა მოსწავლის სწავლისა და მიღწევის შესახებ.
დაგეგმვა, შეფასება			
გეგმავს შეფასებას და აფასებს პროგრამებს ბავშვთა სიძლიერესა და ინტერესებზე დაყრდნობით სწავლა და სწავლების ასახვაზე.	იყენებს შეფასებას, როგორც შეგნებულად პრაქტიკის დანახვისა , აღიარებს და მხარს უჭერს დოკუმენტაციასWhāriki პრინციპებს.	დემონსტრირება გამოცდილებისა და დახვეწილი მიდგომების ყველა ასპექტში, პროგრამების შეფასება და შეფასების პრაქტიკა.	**დიზაინის სწავლა.** დიზაინის სწავლა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასების ინფორმაციას და თითოეული მოსწავლის სიძლიერის გაგებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ვინაობას, ენებსა და კულტურას.

დაწყებითების მასწავლებელი	სერთიფიცირე-ბული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
.შექმნას და შეინარჩუნოს უსაფრთხო გარემო, რომელიც ხელს უწყობს სწავლას.		ეფექტურად შეუწყოს ხელი სასწავლო გარემოს.	**სწავლაზე ორიენტირებული კულტურა** განავითაროს კულტურა, რომელიც ორიენტირებულია სწავლაზე, და ხასიათდება პატივისცემით, ჩართულობით, თანაგრძნობით, თანამშრომლობითა და უსაფრთხოებით. **დიზაინის სწავლა.** დიზაინის სწავლა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასების ინფორმაციას და თითოეული მოსწავლის სიძლიერის გაგებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ვინაობას, ენებსა და კულტურას.
მოლოდინები			
მოლოდინების დემონსტრირება, ღირებულება და სწავლისათვის ხელშეწყობა	შეიმუშაოს მაღალი მოლოდინები, ღირებულება და სწავლისათვის ხელშეწყობა	შეინარჩუნოთ მაღალი მოლოდინები ყველა ბავშვისა, რაც ღირებულს ხდის და ხელს უწყობს სწავლას.	**სწავლაზე ორიენტირებული კულტურა** განავითაროს კულტურა, რომელიც ორიენტირებულია სწავლაზე, და ხასიათდება პატივისცემით, ჩართულობით, თანაგრძნობით, თანამშრომლობითა და უსაფრთხოებით.

სასწავლო გარემო. პოზიტიური

სახელმძღვანელო

დაწყებითების მასწავლებელი	სერთიფიცირე-ბული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
ცხადყოფს პოზიტიურ სახელმძღვანელო პრინციპებს	ეფექტური პოზიტიური სახელმძღანელო სტრატეგიების დემონსტრირება.	მაღალი დონის ვალდებულების დემონსტრირება ბავშვთა კეთილდღეობის ათვის და სოციალური კომპეტენციისთვ ის.	**სწავლება.** ასწავლე და უპასუხე მოსწავლეებს ცოდნის და ადაპტირების გზაზე მათი სწავლის სათანადო სიღრმეში და ტემპით პროგრესის მისაღწევად. **დიზაინის სწავლა.** დიზაინის სწავლა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასების ინფორმაციას და თითოეული მოსწავლის სიძლიერის გაგებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ვინაობას, ენებსა და კულტურას.
ბავშვთა ჩართულობა.			
.ეფექტური სწავლების განვითარება ბავშვთა სწავლის პროცესში	სწავლის პროცესში ბავშვთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით კომპეტენტური პრაქტიკის შემუშავება	ვაჩვენოთ ფართო სპექტრის მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვის ჩართულობას სწავლების პროცესში.	**სწავლება.** ასწავლე და უპასუხე მოსწავლეებს ცოდნის და ადაპტირების გზაზე მათი სწავლის სათანადო სიღრმეში და ტემპით პროგრესის მისაღწევად. **დიზაინის სწავლა.** დიზაინის სწავლა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასების ინფორმაციას და თითოეული მოსწავლის სიძლიერის გაგებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ვინაობას, ენებსა და კულტურას.

სასწავლო გარემო

პატივისცემა და გაგება

დაწყებითების მასწავლებელი	სერთიფიცირე-ბული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
დაამყარონ პოზიტიური ურთ. ბავშვებთან, რომლებიც პატივს სცემენ მათ ინდივიდუალობას, კულტურასა და ადგილს თავიანთ საზოგადოებაში	შეინარჩუნონ და ხელი შეუწყონ პოზიტიურ ურთიერთობებს ბავშვებთან, რომლებიც პატივს სცემენ მათ ინდივიდუალობას, კულტურასა და ადგილს თავიანთ საზოგადოებაში	შეინარჩუნონ და ხელი შეუწყონ პოზიტიურ ურთიერთობებს ბავშვებთან, რომლებიც პატივს სცემენ მათ ინდივიდუალობას, კულტურასა და ადგილს თავიანთ საზოგადოებაში	**პროფესიული ურთიერთობები** თითოეული მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობისკენ მიმართული პროფესიული ურთიერთობებისა და ქცევების დამკვიდრება და შენარჩუნება.
ურთიერთობა. ბავშვები, კოლეგები, Whanau			
ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია ნათლად და ზუსტად ორივე ოფიციალურ ენაზე - Aotearoa/New Zealand. ეფექტურად კომუნიკაცია ბავშვებთან, კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან და მოზარდებთან. უზრუნველყოს რეგულარული კავშირი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის სასწავლო გზას. მშობელთა ჩართულობა საბავშვო ბაღის საჩვენებელ პროგრამებში.	ბავშვებთან, კოლეგებთან ან ოჯახის წევრებთან ურთიერთქმედების ას ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების წარმოჩენა. ეფექტური უნარ-ჩვევები ოჯახების სწრაფვასა და მოზარდებთან მიმართებაში ეთიკური და პასუხისმგებლობის ქცევა.	**პროფესიული ურთიერთობები.** თითოეული მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობისკენ მიმართული პროფესიული ურთიერთობებისა და ქცევების დამკვიდრება და შენარჩუნება. **სწავლაზე ორიენტირებული კულტურა.** განავითაროს კულტურა, რომელიც ორიენტირებულია სწავლაზე, და ხასიათდება პატივისცემით, ჩართულობით, თანაგრძნობით, თანამშრომლობითა და უსაფრთხოებით.

ურთიერთობა . ბავშვები, კოლეგები, Whanau

დაწყებითების მასწ.	სერთიფიცირე-ბული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია ნათლად და ზუსტად ორივე ოფიციალურ ენაზე - Aotearoa/New Zealand. ეფექტურად კომუნიკაცია ბავშვებთან, კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან და მოზარდებთან. უზრუნველყოს რეგულარული კავშირი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის სასწავლო გზას. მშობელთა ჩართულობა საბავშვო ბაღის საჩვენებელ პროგრამებში.	ბავშვებთან, კოლეგებთან ან ოჯახის წევრებთან ურთიერთქმედებისას ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების წარმოჩენა. ეფექტური უნარ-ჩვევები ოჯახების სწრაფვასა და მოზარდებთან მიმართებაში ეთიკური და პასუხისმგებლობის ქცევა.	**პროფესიული ურთიერთობები** თითოეული მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობისკენ მიმართული პროფესიული ურთიერთობებისა და ქცევების დამკვიდრება და შენარჩუნება. **სწავლაზე ორიენტირებული კულტურა** განავითაროს კულტურა, რომელიც ორიენტირებულია სწავლაზე, და ხასიათდება პატივისცემით, ჩართულობით, თანაგრძნობით, თანამშრომლობითა და უსაფრთხოებით.
კოლეგებთან თანამშრომლობა და მხარდაჭერა			
კოლეგებთან თანამშრომლობა და დახმარების თხოვნა	• შექმნას და შეინარჩუნოს სამუშაო ურთიერთობები კოლეგებთან • ხელს უწყობს სხვებს და მონაწილეობს პროფესიულ განვითარებაში	მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ კოლეგებს სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესებაში. ხელს უწყობს სხვებს და	**პროფესიული ურთიერთობები.** თითოეული მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობისკენ მიმართული პროფესიული ურთიერთობებისა და ქცევების დამკვიდრება და შენარჩუნება.

		მონაწილეობს პროფესიულ განვითარებაში	

დაწყებითების მასწავლებელი	სერთიფიცირე-ბული მასწავლებელი	გამოცდილი მასწავლებელი	ჩვენი სტანდარტები
ჩაერთონ იმ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს საბავშვო ბაღის ცხოვრებას	შეინარჩუნოს ზუსტი ჩანაწერები ასოციაციის ადმინისტრაციულ მოთხოვნებთან მიმართებაში	შეინარჩუნონ ცოდნა და უნარი ასოციაციის ადმინისტრაციულ მოთხოვნებთან მიმართებაში	**დიზაინის სწავლა.** დიზაინის სწავლა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასების ინფორმაციას და თითოეული მოსწავლის სიძლიერის გაგებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ვინაობას, ენებსა და კულტურას.
საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია			
განავითაროს ჯანსაღი ცოდნა და უნარ-ჩვევები ასოციაციის ადმინისტრაციული მოთხოვნებისშესაბამისად.	.შეინარჩუნოს ზუსტი ჩანაწერები ასოციაციის ადმინისტრაციულ მოთხოვნებთან მიმართებაში	შეინარჩუნონ ცოდნა და უნარი ასოციაციის ადმინისტრაციულ მოთხოვნებთან მიმართებაში	**დიზაინის სწავლა.** დიზაინის სწავლა ეფუძნება კურიკულუმსა და პედაგოგიურ ცოდნას, შეფასების ინფორმაციას და თითოეული მოსწავლის სიძლიერის გაგებას, ინტერესებს, საჭიროებებს, ვინაობას, ენებსა და კულტურას.

წვლილი ფართო საბავშვო ბაღის ოპერაციებში

საბაკალავრო პროგრამები ბელგიაში:

ასევე აღსანიშნავია საბაკალავრო პროგრამა ბელგიაში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა შემდეგ საკითხებს, საგნებსა თუ თემებს:

პროფესიულ სასწავლებელში-

- განვითარების ფსიქოლოგია
- საგანმანათლებლო მეცნიერებები / პედაგოგიკა (1ლი წელი, მე-2 წელი, მე -3 წელი)
- დიდაქტიკა და სწავლა საბავშვო ბაღის სასწავლო გეგმისა

დაწყებითი საფეხური:

• საგანმანათლებლო მეცნიერებები (განვითარების ფსიქოლოგია, ფსიქოლოგია

მოზარდობა, პედაგოგიკა, დიდაქტიკა) (1-ლი, მე -2, მე -3)

• პედაგოგიური უნარები (მე -2, მე -3)

• კომპიუტერული მეცნიერებები და მედია (1-ლი, მე-2)

ქვედა საშუალო დონე:

• საგანმანათლებლო კვლევები (მოზარდობის ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, დიდაქტიკა)

• მედია და კომპიუტერი (1-ლი, მე -2, მე -3)

საგნობრივი სწავლება ძიძისათვის-მშობლიური ენა (ჰოლანდიური ან ფრანგული), მათემატიკა, მსოფლიო ორიენტაცია (ბიოლოგიის ინტეგრაცია, გეოგრაფია და ისტორია), საოჯახო განათლება, გამოხატვის შესწავლა (მუსიკა, გრაფიკული ხელოვნება, ფიზიკური განათლება, სახელმძღვანელო უნარები).

• პროფესიული კვლევები

• საგნობრივი კვლევები

ძიძობა/პირველადი ქვედა საშუალო:

- ფსიქოლოგია-მეთოდოლოგია
- დიდაქტიკა
- კომპიუტერული განათლება

ფრანგული, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია. მეცნიერება, პლასტიკურ ხელოვნებაში განათლება, მუსიკალური განათლება, ფიზიკური განათლება, სპორტი და ფსიქო-მობილურობა.

თავი III

(სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება საქართველოში)

3.1. საკანონმდებლო ბაზა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი საქართველოშ

დღევანდელი მდგომარეობით, სკოლამდელი განათლების სისტემა საქართველოში არ ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მისი მართვის მთავარ ორგანოს თვითმმართველობები წარმოადგენენ.

სკოლამდელ განათლებას რამდენიმე კანონი არეგულირებს, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ეხება განათლების ყველა სფეროს. კონსტიტუცია შექმნილია 1995 წლის 24 აგვისტოს. მისი 35-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტი შეეხება სკოლამდელი განათლების საკითხებს, მის მიხედვით, სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს დადგენილი წესით.

ასევე აუცილებლად მიმაჩნია, მიმოვიხილოთ ბავშვის უფლებების კონვენცია. ის ძირითადი თემები, რომლებიც სკოლმდელი ასაკის ბავშვის საკითხებს არეგულირებს. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს მიერ. კონვენციას ხელს აწერს 193 ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები იღებენ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობას. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეურთდა. იგი შედგება 54 მუხლისგან და 28-ე-29-ე მუხლები ეხება უშუალოდ განათლების უფლებას.

პირველი მუხლის თანახმად, დოკუმენტი არეგულირებს 18 წლამდე ბავშვის უფლებებს, ანუ ბავშვს და არეგულირებს იმ სამართლებრივ საკითხებს, რომლებიც დგას ბავშვთან მიმართებაში.

კონვენციის არცერთი მუხლი არ ეხება სკოლამდელ განათლებას, თუმცა ასაკობრივი ბარიერის გათვალისწინებითა და უფლებების კუთხით შეიძლება ვთქვათ, რომ მისი მოქმედების სფეროს წარმოადგენს ამ ასაკის ბავშვი.

კონვეციის პირველი ნაწილის 29-ე მუხლი განსაზღვავს ქვეყნისათვის განათლების ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, ეს, რა თქმა უნდა, სკოლამდელ აღზრდასა და განათლებასაც უნდა ეხებოდეს:

- ბავშვის პიროვნება, ნიჭი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები რაც შეიძლება სრული მოცულობით განვითარდეს;
- აღიზარდოს ადამიანის ულფებებისა და ძირითადი თავისუფლებების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების პატივისცემა;
- აღიზარდოს ბავშვში მშობლების, მისი კულტურული თავისთავადობის, ენისა და ღირებულებების, თავის საცხოვრებელი ქვეყნის, თავისი წარმომავლობის ქვეყნის და მისი საკუთრებისგან განსხვავებული ცივილიზაციების ღირებულებათა პატივისცემა;
- ბავშვი მომზადდეს თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით;
- აღიზარდოს გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო უერთდება აღნიშნულ ვალდებულებებს და იღებს პასუხისმგებლობას მის შესასრულებლად, ყველა კანონი, რომელიც დაარეგულირებს ბავშვთა უფლებებსა და ვალდებულებებს გაითვალისწინებს კონვენციის მთავარ პრინციპებს.

სკოლამდელი განათლების სისტემა თვითმმართველობის დაქვემდებარების ქვეშა არის, ამიტომ უნდა განვიხილოთ თვითმმართველობის კოდექსი. თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლი არეგულირებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას, სწორედ ამ მუხლში არის გაწერილი სკოლამდელი დაწესებულების დაარსებისა და მოქმედების სივრცეც. მე-16 პარაგრაფის თანახმად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შედის:

„ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;“

“ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის წესით;”

“ი)მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;“

“ი)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

უკანასკნელი დებულება, კანონის თანახმად, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 ოქტომბერს. თვითმმართველობის კოდექსიდან ჩანს, რომ ის არ არეგულირებს თავად სკლომადელი დაწესებულებების ფუნქციონირებას, ამისათვის საკანონმდებლო სივრცეში გვაქვს კიდევ ერთი კანონი, რომელიც უშუალოდ ეხება სკოლამდელი განათლების საკითხებსა და მათ ფუნქციონირებას.

„საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ შემუშავებულია 2016 წლის 8 ივნისს და მასზე ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. ეს კანონი აწესრიგებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომლობასა და საყოველთაობის პრინციპებს,

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სტრუქტურას, მათ დაფუძნებასა და გაუქმებას. განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის როლს სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაში, ავტორიზაციის საკითხებსა და მის დაფინანსებას. მე-3 მუხლში წარმოდგენილია ტერმინთთა განმარტება. ამ თავში დიფერენცირებულად ვხვდებით ორ ტერმინს - აღმზრდელი და აღმზრდელ-პედაგოგი. გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო თემის ობიექტს აღმზრდელ-პედაგოგი წარმოადგენს საჭიროა მოვახდინოთ მისი განმარტება.

„თ) აღმზრდელ-პედაგოგი პირი, რომელიც დაწესებულებაში სააღმზრდელო-პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს; აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.“

აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების, სტანდარტის შემუშავებისა და გადამზადებაზე რამდენიმე ორგანო მუშაობს. მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების პროფესიულ სტანდარტს და დასამტკიცელად წარუდგენს საქართველოს მთავრობას. აგრეთვე, შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აღმზრდელის პროფესიული მომზადებს საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტს, შეიმუშავებს აღმზრდელ-პედაგოგთა რტენინგ-მოდულებს და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებს მათ გადამზადებაში. ადგილობრივი თვითმმართველობა განათლების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფს აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას.

კანონის თანახმას, აღმზრდელ-პედაგოგის მომზადებისა და გადამზადების პროგრამები იქმნება საქართველოს სამინისტროს მიერ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არეგულირებს აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება-გადამზადების პროგრამებს აღმზრდელის განათლება სკოლამდელი დაწესებულებებში სამსახურის დასაწყებად განსაზღვრული არ არის.

2015 წელს შეიქმნა აღმზრდელ-პედაგოგის **პროფესიული სტანდარტის** საპილოტე ვერსია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აღნიშნული სტანდარტი არ არეგულირებს აღმზრდელი-პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი რეგულაცია არ არის კანონში. სტანდარტი განსაზღვრავს მოთხოვნებს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონის შესაბამისად, სწორედ ამ დონეზე მომზადებული აღმზრდელ-პედაგოგის კომპეტენციები რეგულირდება. დოკუმენტში გამოყოფილი შემდეგი სფეროები - პროფესიული მოვალეობები, ცოდნა და უნარები.

„სტანდარტის მიზანია, მიაწოდოს აღმზრდელ-პედაგოგს ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის ცოდნასა და კომპეტენციებს უნდა ფლობდეს იგი ადრეული და სკოლამდელი განათლების დონეზე სრულფასოვანი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასებისთვის. „

2016 წლის სტანდარტის სამუშაო ვერსია შედგებოდა თავებისაგან, განვიხილავ მესამე (აღმზრდელ-პედაგოგის განათლება და კვალიფიკაცია) და მეოთხე (აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კომპეტენცია) თავებს.

მესამე თავი არეგულირებს აღმზრდელი-პედაგოგის განათლებასა და კვალიფიკაციას. სტანდარტის მიხედვით დასაქმების საკითხი იყოფა 2020 წლის 1-ლი სექტემბრამდე დასაქმებულების და იმ აღმზრდელებისათვის, რომლებიც მას შემდეგ დასაქმდებიან. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში 2020 წლის 1-ლ სექტემბრამდე დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ ფლობს სკოლამდელი განათლების საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებულ, ბაკალავრის ან მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წარმატებით აქვს გავლილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადების პროგრამა (ტრენინგი);

- ✓ ფლობს ბაკალავრის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს მომიჯნავე ქვედარგში/სპეციალიზაციაში (ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, ინკლუზიური განათლება, განათლების კვლევები, ინტერკულტურული განათლება, განათლების ფილოსოფია, განათლების სოციოლოგია) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს ადრეული და სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის საგანმანათლებლო პროგრამა ;
- ✓ ფლობს ადრეული და სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ან მასთან გათანებრულ არაფორმალური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც გაცემულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ✓ ფლობს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხს ნებისმიერ დარგში და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე აღმზრდელის პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ ოთხწლიან გამოცდილებას; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს ადრეული და სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის საგანმანათლებლო პროგრამა;

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში 2020 წლის 1 სექტემბრიდან დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადების პროგრამა მრავალკრედიტიანი, ეტაპობრივი ტრენინგი, რომელიც მომზადებული და მხარდაჭერილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და გულისხმობს აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე უკვე დასაქმებული კადრის გადამზადებას;

- ✓ სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის საგანმანათლებლო პროგრამა-გრძელვადიანი (მინიმუმ 60 კრედიტი) პროგრამა, რომელსაც ქმნის და მხარს უჭერს სახელმწიფო და რომელიც გულისხმობს როგორც თეორიულ მომზადებას, ასევე პრაქტიკას შესაბამის დაწესებულებაში და განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებსაც ჯერ არ უმუშავიათ აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე;

აღმზრდელ-პედაგოგმა სტანდარტის მიხედვით უნდა იცოდეს:

- ✓ ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ✓ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები;
- ✓ სტანდარტები/რეგულაციები/პრინციპები;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები;

სტანდარტის მიხედვით აღმზრდელ-პედაგოგს უნდა შეეძლოს:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება-დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება;
- ✓ განმავითარებელი გარემოს მოწყობა და ადაპტაცია;
- ✓ მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;
- ✓ თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობა;
- ✓ მრავალფეროვანი აქტივობების ჩატარება (ფიზიკური, მეცნიერული, სახელოვნებო და სხვა);
- ✓ ობიექტური შეფასება;
- ✓ ინტერაქციული თამაში;
- ✓ მცირე და დიდ ჯგუფებთან მუშაობა;
- ✓ ეფექტური კომუნიკაცია;
- ✓ კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმების გამოყენება;
- ✓ პოზიტიური გაძღოლა;
- ✓ თანაგრძნობა;
- ✓ თვითმართვა;
- ✓ თვითშეფასება;

- ✓ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების და ხელსაწყოების გამოყენება;
- ✓ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა

აღმზრდელ-პედაგოგს უნდა ჰქონდეს გარკვეულ ღირებულებათა სისტემა, რომლითაც წარმართავს პროფესიულ საქმიანობას, ეს ღირებულებებია:

- ✓ თანასწორობა;
- ✓ ჰუმანურობა;
- ✓ ობიექტურობა;
- ✓ თვითკრიტიკულობა;
- ✓ ეთიკურობა;
- ✓ ემპათიურობა;
- ✓ პასუხისმგებლობა;
- ✓ ორგანიზებულობა;
- ✓ გაწონასწორებულობა;
- ✓ ტოლერანტობა.

სტანდარტის სამუშაო ვერსია აგრეთვე არეგულირებს საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესს, მან ხელი უნდა შეუწყოს, აღმზრდელ-პედაგოგის უწყვეტ პროფესიულ განათლებასა და თვითშეფასებას.

ვფიქრობ, სტანდარტი იდიალურად არის გაწერილი, მაგრამ რეალური სურათი, კვლევების შედეგად სულ სხვა გვაქვს, რასაც თემის დასასრულს განვიხილავ. აქვე დავძენ, რომ თვითონ სტანდარტსაც კი არ იცნობს აღმზრდელ-პედაგოგთა უმეტესობა.

3.2. აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამები

საქართველოს კანონმდებლობა გვიჩვენებს, რომ პროფესიულ დონეზე აღმზრდელთა მომზადება რეგულირებადია, მას არეგულირებს პროფესიული სტანდარტი, რომელიც განხილული გვაქვს წინა ქვეთავში (იხ, 2.1.). ცხადია, თითოეული პროგრამა ვალდებულია პასუხობდეს სტანდარტს და ამ პრინციპით იყოს აგებული.

განვიხილავ რამდენიმე პროფესიულ პროგრამას, მათგან სამი მინმდინარეობს უნივერსიტეტის გვერდით ორი კი პროფესიულ კოლეჯში.

პროგრამის ანალიზს დავიწყებ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პრგრამით. აღნიშნული უნივერსიტეტი 2015 წლიდან ახორციელებს პროგრამას - „საბავშვო ბაღის აღმზრდელი პედაგოგი.“ პროგრამა ხორციელდება პროფესიული კვალიფიკაციის ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მეხუთე დონეზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას სრული ზოგადი განათლება წარმოადგენს.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში, საბავშვო ბიბლიოთეკებში და ა.შ

პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას, განვითარებას და განათლებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია დასაკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 130 კრედიტს. პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან:

სავალდებულო ზოგადი მოდული

- ✓ კომუნიკაცია - 3 კრედიტი, საგნის გავლის შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს, ზეპირი კომუნიკაციას დამყარება. საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე წერილობითი კომუნიკაცია, ტელეფონითა და ელექტრონული საშუალებებით;
- ✓ პრეზენტაციის მომზადება-წარდგენა - 3 კრედიტი, სტუდენტს უნდა შეეძლოს აუდიტორიასთან ურთიერთობა, ზეპირი პრეზენტაციების წარდგინება.
- ✓ რაოდენობრივი წიგნიერება - 2 კრედიტი , სტუდენტს უნდა შეეძლოოს, რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების შესრულება და მათი თვისებების გამოყენება, მარტივი მათემატიკური მოქმედებების შესრულება.
- ✓ საინფორმაციო ტექნოლოგიები - 4 კრედიტი, სტუდენტს უნდა შეეძლოს, ტექსტური დოკუმენტის მომზადება, მოწყობილობების ქსელში ჩართვა და პერიფერიულ მოწყობილობებთან დაკავშირება;
- ✓ მეწარმეობა - 5 კრედიტი, ბიზნესის დაგეგმვა, გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება;
- ✓ პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები - 1 კრედიტი, სტუდენტს უნდა შეეძლოს, ადამიანებთან ურთიერთობა განსხვავებულ სიტუაციებში, საქმიანი ურთიერთობის ეტიკეტისა და ეთიკი ნორმების დაცვა;
- ✓ ინგლისური ენა - 5 კრედიტი, სტუდენტს უნდა შეეძლოს ზეპირი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ყოველდღიურ-ყოფით საკითხებზე(A2/B1), უცხოურ ენაზე პირადი კორესპონდენციის წარმოება და წერილობითი კომუნიკაცია.

სავალდებულო პროფესიული მოდული

- ✓ გაცნობითი პრაქტიკა ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი პროფესიის - 2 კრედიტი, პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა, კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა, პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნების დასახვა და განხორციელება;
- ✓ საწარმოო პრაქტიკა ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი - 12 კრედიტი - ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, სამუშაო გარემოს

დამოუკიდებლად ორგანიზება, მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით პროფესიული ამოცანების დამოუკიდებლად შესრულება;

- ✓ პრაქტიკული პროექტი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 6 კრედიტი - პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად დაგეგმვა, პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება.
- ✓ ადრეული განვითარების თავისებურებები - 6 კრედიტი - განვითარების თეორიების მახასიათებლების განსაზღვრა, ასაკობრივი თავისებურებების განსაზღვრა;
- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი - 6 კრედიტი, საქართველოში არსებული ადრეული განათლების კურიკულუმების ანალიზი, კურიკულუმის მოდელების განსხვავება.
- ✓ ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა - 6 კრედიტი, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება, ჰოლისტური მიდგომის პრინციპების გამოყენება;
- ✓ სააღმზრდელო გარემო - 6 კრედიტი, სააღმზრდელო ფიზიკური გარემოს მოწყობა, სააღმზრდელო პროცესში წარმატებული მხარდამჭერი გარემოს მახასიათებლების გამოყენება, ცენტრების და ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობა;
- ✓ სააღმზრდელო პროცესი - 6 კრედიტი, სასწავლო სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენება, ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება მართვის პროცესში;
- ✓ სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება - 6 კრედიტი - კომუნიკაციის უნარის განვითარება აღსაზრდელებში, ენისა და მეტყველების უნარის განვითარება აღსაზრდელებში, ადრეული წიგნიერების უნარის განვითარება აღსაზრდელებში;
- ✓ სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა - 5 კრედიტი - ადრეულ ასაკში მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლების თავისებურებების განსაზღვრა, მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლების დაგეგმვა ადრეული განათლების დაწესებულებაში, მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლება ადრეული განათლების დაწესებულებაში;

- ✓ სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტიობები - 5 კრედიტი - ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების განსაზღვრა, ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების სწავლების დაგეგმვა ადრეული განათლების დაწესებულებაში, ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების სწავლება ადრეული განათლების დაწესებულებაში;
- ✓ დაკვირვება და შეფასება - 5 კრედიტი - ბავშვის, ჯგუფის, აღზმრდელის, აქტივობისა და პროგრამის შესაფასებლად დაკვირვებისა და არაფორმალური შეფასების მეთოდების გამოყენება, არაფორმალური შეფასების შედეგების ინტერპრეტაცია და მასზე დაფუძნებით რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები - 6 კრედიტი - ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პინციპების განსაზღვრა. ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება, სსსმ ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა ჯგუფში, მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობა;
- ✓ ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულება - 4 კრედიტი, მშობელთან შეხვედრების ორგანიზება, სააღმზრდელო პროცესში თემისა და მშობლების რესურსის გამოყენება, მშობლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ✓ ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - 6 კრედიტი - უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, ჰიგიენის ძირითადი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, პირველადი დახმარების გაწევა, ეკოლოგიის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობების ორგანიზება;
- ✓ პროფესიული ეთიკა - 3 კრედიტი - უფლება-მოვალეობების განსაზღრა, პროფსიული ზრდის დაგეგმვა, დოკუმენტაციის წარმოება.

არჩევითი პროფესიული მოდული

- ✓ ხატვა - 5 კრედიტი - ხატვისთვის სამუშაო მასალის მომზადება, ფანქრით ხატვის მარტივი მონახაზების შესრულება, ფერწერული ნახატის მარტივი ფორმების შესრულება;

- ✓ ძერწვა - 2 კრედიტი - ძერწვის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა, მარტივი გეომეტრიული ფიგურების გამოძერწვა;
- ✓ ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია - 3 კრედიტი, ორიგამის ფიგურების მომზადება, კირიგამის ფიგურების მომზადება, აპლიკაციის მომზადება.
- ✓ რუსული ენა - 5 კრედიტი - ზეპირი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ყოველდღიურყოფით საკითხებზე(A2/B1), უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა, უცხოურ ენაზე პირადი კორესპონდენციის წარმოება და წერილობითი კომუნიკაცია;
- ✓ კომპოზიციის ძირითადი პრინციპები - 5 კრედიტი - კომპოზიციის აგების კანონზომიერებების ანალიზი, კომპოზიციის ძირითადი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით სხვადასხვა ტიპის კომპოზიციების შექმნა.

ანალოგიური კურიკულუმით ახორციელებს მოსამზადებელ პროგრამას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განსხვავებას მხოლოდ ორი არჩევითი საგანი წარმოადგენს, ესენია - პირველადი გადაუდებელი დახმარება და ივენთ მარკეტინგი. აღნიშნული პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა და მიზანი სრულ თანხვედრაშია ზემოთ განხილულ პროგრამასთან. ამიტომაც მას დაწვრილებით არ განვიხილავ.

საბავშვო ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამას ახორციელებს აგრეთვე სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან, ის წარმოდგენს პროფესიულის მეხუთე საფეხურს და წინაპირობას სრული ზოგადი განათლება წარმოადგენს. პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ეს პროგრამა მოიცავს 130 კრედიტს, იგი სრულიად იდენტურია ზემოთ წარმოდგენილი პროგრამისა, აქედან გამომდინარე მის დაწვრილებით განხილვას არ ვთვლი საჭიროდ.

სახელმწიფო უნივერსიტეტების გარდა, ბაგა-ბაღის აღმზრდელის მომზადების პროგრამებს სხვადასხვა პროფესიული სასწავლებელი ახორციელებს. განვიხილავ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ბაგა-ბაღების აღმზრდელი პედაგოგი“. აღნიშნული პროგრამა განახლდა 2017 წელს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ორიენტირი ახორციელებს 162 კრედიტს. პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამა მოიცავს სამ მოდულს - სავალდებულო ზოგადი მოდული, სავალდებულო პროფესიული მოდული, არჩევითი პროფესიული მოდული.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ მოდულებში არსებული საგნების დასახელება სრულ თანხვედრაშია იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნვერსიტეტის „ბაგა-ბაღის აღმზრდელის მომზადების პროგრამისა“, მას დაწვრილებით არ აღვწერ, განვიხილავ იმ განსხვავებულ საგნებს, რომლებიც წინა პროგრამებში არ იყო მოცემული.

სავალდებულო ზოგადი მოდული

- ✓ ქართული ენა A2 - 15 კრედიტი - სრუდენტმა უნდა შეძლოს ისაუბროს ქართულ ენაზე, დაამყაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აღნიშნული დონის ფარგლებში;

- ✓ ქართული ენა B1 - 15 კრედიტი, სტუდენტმა უნდა შეძლოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციიის დამყარება, სხვადასხვა დოკუმენტების წაკითხვა და საქმიან ურთიერთობებში ენის გამოყენება.
- ✓ სამოქალაქო განათლება - 2 კრედიტი - სტუდენტმა უნდა იცოდეს სამოქალაქო განათლების საფუძვლები და მისი გამოყენება სააღმზრდელო პროცესში.

არჩევითი პროფესიული მოდული

- ✓ ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა.

როგორც ვხედავთ პროგრამებს შორის განსხვავება მინიმალურია, ძირითადი პროფესიული საგნები იდენტურია, განსხვავებას მხოლოდ არჩევითი და ზოგადი სავალდებულო მოდული გვაძლევს.

რაც შეეხება ქართული ენის საგნებს, ისინი განკუთვნილია არაქრთულენოვანი სტუდენტებისათვის და ისწავლება პირველი სემესტრის ფარგლებში.

ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროგრამას ახორციელებს აგრეთვე სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“. პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისათვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ-სააღმზრდელო გარემო. პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ზემოაღნიშნული პროგრამების ანალიზის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა სფეროში გვაქვს საერთო სურათი და მათ შორის განხვავება მინიმალურია, ან თითქმის არ არის. პროგრამები დაფუძნებულია ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტზე, რომელიც შემუშავებულია 2015 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამების შინაარსის თითქმის ყველა

საგანი თანხვედრაშია სტანდარტში წარმოდგენის მოთხოვნებთან, საგნების მრავალფეროვნება არ ჩანს, რაც მიანიშნებს პროგრამების ნაკლზე.

ილიას სახელმწიფო უნივერდიტეტი ახორციელებს საბაკალავრო პროგრამას რომელსაც ჰქვია - „დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა“, ამ პროგრამის ფარგლებში აგრეთვე შესაძლებელია „სკოლამდელი აღზრდის პროგრამის“ გავლა, მაინორის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია 2007 წელს და განახლებულია 2011 წელს. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. *„სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მიზანია, გააცნოს სტუდენტს უწყვეტი განათლების I საფეხურის – სკოლამდელი აღზრდის – მნიშვნელობა ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში; მისცეს სტუდენტს სკოლამდელ საფეხურზე სწავლებასა და ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული ზოგადი ცოდნა და საბაზისო უნარები.“*

პროგრამა მოიცავს შემდეგ მისაღწევ შედეგებს:

- ✓ ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულს აქვს სკოლამდელ საფეხურზე ბავშვის სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული ზოგადი ცოდნა, რაც გულისხმობს განათლების თეორიებისა და მეთოდოლოგიის საფუძვლების, სწავლისა და სწავლების რიგი სტრატეგიებისა და თეორიების, საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების, პედაგოგიური ეთიკის, მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებების, ინკლუზიური განათლების, მულტიკულტურული და მულტილინგვური მიდგომებისა და პრინციპების, შეფასების სხვადასხვა მეთოდების, ფორმების და პრინციპების შესახებ ზოგად ცოდნას;
- ✓ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის გამოყენება ზოგადი და კონკრეტული სასწავლო აქტივობის საფუძვლად;
- ✓ დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს ინფორმაციის ანალიზის უნარი, დარგობრივი ლიტერატურის დამუშავების უნარი;

- ✓ კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებული ფლობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენების უნარი კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიებისათვის, დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
- ✓ სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა
- ✓ ღირებულებები - კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში, აქვს მოვლენების ინტელექტუალური და ეთიკური შეფასების უნარი.

პროგრამა შედგება რამდენიმე მოდულისაგან, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თითოეული მოდულიდან გააკეთოს საგნების არჩევანი.

პროგრამის ზოგადი მოდული შედგება შემდეგი საგნებისაგან:

- ✓ სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიიის შესავალი;
- ✓ ბავშვის განვითარება 0-7;
- ✓ სკოლამდელი ინკლუზიური განათლება;
- ✓ თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები სკოლამდელ განათლებაში;
- ✓ სკოლამდელი განათლების ფილოსოფია და კურიკულუმი;

პედაგოგიური პრაქტიკის მოდული

- ✓ პედაგოგიური პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში;

სპეციალიზაცია (სავალდებულო-არჩევითი კურსი)

- ✓ ზოგადი და სკოლამდელი პედაგოგიკა;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ✓ მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება სკოლამდელ ასაკში;
- ✓ მეტყველების კულტურა და საბავშვო ლიტერატურა;

- ✓ მეტყველების განვითარების მეთოდიკა;
- ✓ ბუნების გაცნობის მეთოდიკა სკოლამდელ ასაკში;
- ✓ მუსიკალური აღზრდის მეთოდიკა სკოლამდელ ასაკში;
- ✓ სახვითი საქმიანობის მეთოდიკა სკოლამდელ ასაკში;
- ✓ ფიზიკური აღზრდის მეთოდიკა სკოლამდელ ასაკში;

არჩევითი კურსის მოდული

- ✓ რიტმიკა (მუსიკალურ-რიტმული მოძრაობები);
- ✓ კოლამდელი დაწესებულების მართვა;
- ✓ ბავშვთა მიმართ ძალადობა;

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მდგომარეობით აღმზრდელთა მომზადება საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება, ეს შეიძლება იყოს პროფესიული სასწავლებლის მეხუთე საფეხური, რომელსაც ახორციელებენ როგორც უნივერსიტეტები, ასევე - კერძო და საჯარო პროფესიული სასწავლებლები. ამასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს მაინორ პროგრამას დაწყებითი საფეხურის პედაგოგიკასთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოელი აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურს არ ახორციელებს არც ერთი უნივერსიტეტი. წარმოდგენილ პროგრამებში მცირე განსხვავებაა საგნებისა და მოდულებისა. რამდენიმე პროგრამა სრულ თანხვედრაშია და იმეორებს აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის შინაარსს.

3.3. განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განვიხილეთ ორი ქვეყნის გამოცდილება საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საკითხებში, ასევე გავეცანით საქართველოში არსებულ პროგრამებსა და პროფესიულ სასწავლებლებს. ამ ქვეთავში ნახავთ ზემოაღწერილი პროგრამების შედარებით ანალიზს.

გავეცანით ბელგიაში არსებულ აღმზდელ-პედაგოგებისთვის არსებულ პროგრამებს, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო ბაღის ყოველი პედაგოგი ყოველთვიურად იღებს საჭირო ცოდნას ტრენინგების სახით, არსებობს სპეციალური კურსები და პროგრამები, რომის მიზანია, რომ 2024 წლისთვის თითოეული პედაგოგი იყოს კვალიფიციური და მაღალი დონის. ეს პროგრამები ეფუძნება პროფესიულ სტანდარტს. შინაარსის თვალსაზრისით პროგრამებს შორის არის მინიმალური განსხვავება და ის პრაქტიკის ხვედრითი წილის დახმარებით იძლევა საშუალებას პროფესიონალი კადრის მომზადებისათვის.

ძირითად მიმართულებებში წარმოდგენილია: პედაგოგიური მიმართულებები, რუსეთის შემთხვევაში აქცენტი კეთდება თეორიულ ნაწილზე და გამოხატულია მკვეთრი ნაციონალური ხაზი, რაც შეეხება ბელგიას, ძირითად მიმართულებას სოციალურ-პედაგოგიური ციკლი და ბავშვზე ორიენტირებული სწავლება წარმოადგენს. მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია ორივე შემთხვევაში არის განვითარების თეორიები, ეს ეხება, როგორც ადრეულ ასაკს ასევე გვიან სკოლამდელ პერიოდს. განვითარებაში აგრეთვე მოიაზრება, როგორც ტიპური, ასევე ატიპური მიმართულებები. ორივე ქვეყნის პროგრამაში, როგორც საბაკალავრო, ასევე პროფესიულ დონეზე დიდი კოეფიციენტი აქვს დათმობილი ინკლუზიურ განათლებას სკოლამდელ პერიოდში. აგრეთვე, უნდა გამოიყოს სკოლამდელი განათლების სამართლებრივი საკითხები, რომელთა ცოდნაც აღმზრდელ-პედაგოგს ევალება მომზადების ორივე საფეხურზე. ორივე ქვეყნის პრაქტიკა ითვალისწინებს ელემენტარული

სწავლების მეთოდიკის ნაწილს სხვადასხვა მიმართულებით, ესენია - მათემატიკა, მშობლიური ენა და მეტყველება. შეიძლება ითქვას, რომ ორივე ქვეყნის პრაქტიკა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს განვითარების თეორიებზე, პედაგოგიკასა და მეთოდიკებზე. ამის გვერდით, ორივე შემთხვევაში მოიაზრება სხვადასხვა სოციალური საგნები, რომელიც სტუდენტს დაეხმარება მომავალში სხვადასხვა საქმიან ურთიერთობებში. ბელგიის მოსამზადებელ პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც სასწავლო პერიოდის 1/3 ნაწილს წარმოადგენს.

საქართველოში აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტში ხორციელდება, იგი სრულ თანხვედრაშია აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების პროფესიულ სტანდარტთან. თითქმის ყველა პროფესიული სასწავლებელი და ის უნივერსიტეტები, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ პროგრამებს იდენტურ კურიკულუმები აქვთ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს, რომლებიც დაწვრილებით განვიხილეთ სამაგისტრო თემის ფარგლებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მოსამზადებელი პროგრამები 130 კრედიტიანია, განხილულ პროგრამებს თუ შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ მასში საკმაოდ მცირეა პრაქტიკის ხვედრითი წილი, აგრეთვე მეთოდიკის ნაწილი. რაც შეეხება იმ ძირათად მიმართულებებს, რომლებზეც აქცენტი კეთდება ბელგიისა და რუსეთის განათლების სისტებაში, საქართველოში განხორციელებულ პროგრამებში მათი პროცენტული მიმართება საერთო ჯამურ კრედიტების რაოდენომასთან საკმაოდ ნაკლებია. ამ შემთხვევაში იგულისხმება, განვითარებისა და სწავლების თეორიები, ინკლუზიური განათლება, მეთოდიკური ნაწლი და სამართლებრივი საკითხები, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ სფეროს.

პროგრამათა შედარებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ქართული პროგრამები საჭიროებენ დახვეწას და იმ ძირითად მიმართულებებზე აქცენტის გაკეთებას, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ პროფესიონალი კადრის მომზადების დროს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საჭიროებენ კურიკულუმების გამრავალფეროვნებასა და გადახედვას.

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევა განვახორციელე რამდენიმე ეტაპად. პირველ რიგში ჩატარდა ე.წ. თეორიული კვლევა, რომელშიც ანალიზი გაუკეთდა სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელ პროგრამებს. რაც შეეხება მეორე ეტაპს, ჩავატარე ემპირიული კვლევა, რომლის მიზანი იყო, გამომევლინა აღმზრდელთა საჭიროებები ცოდნის კუთხით. ამის შემდეგ ჩავატარე ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის ხელმძღანელებთან, რაც დამეხმარა განმესაზღვრა აღზრდელ-პედაგოგისათვის რეალური საჭიროებები პროგრამების თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოვიყენე ორი სახის კითხვარი ინტერვიუსათვის. ორივე მათგანი შემუშავდა მეორეული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ. აღმზრდელ-პედაგოგებისათვის შედგენილ კითხვარში აქცენტები დაისვა მოსამზადებელი პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე და პროფესიულ სტანდარტებში განხილული ძირითადი კომპეტენციებისა და უნარების

მიხედვით; ხოლო პროგრამის ხელმძღვანელებისათვის კითხვარი შედგა თავად პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

რესპოდენტთა შერჩევა მოხდა მიზნობრივად, კვლევაში მონაწილეობდა 5 ბაღის (საჯარო და კერძო) 30 აღმზრდელ-პედაგოგი და პროგრამის 2 ხელმძღვანელი.

დანართი #1

კითხვარი საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებისთვის:

მოგესალმებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას, საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა მოსამზადებელ პროგრამებზე, განათლებასა და საჭიროებებზე. გთხოვთ, გულახდილად უპასუხოთ შეკითხვებს. კვლევაში დაცული იქნება კონფიდენციალობა. წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!

სქესი: 1) მდედრობითი 2) მამრობითი

ასაკი:

1. რომელი საფეხურის განათლება გაქვთ მიღებული?

- საშუალო
- პროფესიული
- უმაღლესი
- სპეციალობა .....

2*. რა განათლება გაქვთ მიღებული აღმზრდელ- პედაგოგის სპეციალობით?*

3. რა კურსები/ ტრეინინგები გაქვთ გავლილი აღმზრდელის კუთხით?

4. აღმზრდელად მუშაობის რამდენწლიანი სტაჟი გაქვთ ?

5. რა კომპეტენციებს დაასახელებთ აღმზრდელ-პედაგოგისთვის, რომელიც აუცილებელია ბავშვის აღზრდის პროცესში?

6. რა უნარები სჭირდება აღმზრდელ-პედაგოგს იმისთვის, რომ წარმატებულად დაგეგმოს სააღმზრდელო პროცესი?

7. როგორ ფიქრობთ, რისი ცოდნის აუცილებლობის საკითხი შეიძლება დადგეს აღმზრდელი-პედაგოგის საქმიანობის დროს?

8. აღმზრდელ-პედაგოგმა უნდა იცოდეს ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები?

1. დიახ
2. არა

9. აღმზრდელ-პედაგოგმა უნდა იცოდეს ბავშვის განვითარების სხვადასხვა ეტაპები?

1. დიახ
2. არა

10. აღმზრდელ-პედაგოგს უნდა ჰქონდეს განათლება მიღებული ინკლუზიური სწავლების კუთხით?

1. დიახ
2. არა

11. პრაქტიკიდან გამომდინარე, შეგიძლიათ გვითხრათ, სჭირდება აღმზრდელ-პედაგოგს სკოლამდელი განათლების სისტემის გაცნობა?

1. დიახ
2. არა

13. თქვენს პრაქტიკაში, რისი ცოდნის საჭიროება გამოიკვეთა ?

14. რომელ დარგში გსურთ ტრეინინგის გავლა?

15. რა სირთულეებს აწყდებით სასწავლო პროცესში ბავშვებთან ურთიერთობისას?

16. რა სირთულეებს აწყდებით სასწავლო პროცესში თანამშრომლებთან ურთიერთობისას?

17. რა სირთულეებს აწყდებით სასწავლო პროცესში მშობლებთან ურთიერთობისას?

18. რას შეცვლიდით სასწავლო პროცესის წარმოებისას?

19. რას დაამატებდით აღნიშნულ საკითხთთან დაკავშირებით?

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის!..

დანართი #2

კითხვარი ინტერვიუსთვის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან:

მოგესალმებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას, საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა მოსამზადებელ პროგრამებზე, განათლებასა და საჭიროებებზე. გთხოვთ, გულახდილად უპასუხოთ შეკითხვებს. კვლევაში დაცული იქნება კონფიდენციალობა. წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!

1. ბაკალავრის მისანიჭებელი კვალიფიკაცია თუ შეგიძლიათ დაგვიზუსტოთ.
2. დარგობრივი მახასიათებლების მიზნები რის საფუძველზე შეიმუშავეთ?
3. 240 კრედიტიდან 30 ეთმობა პრაქტიკას, კერძოდ რა იგულისხმება ამაში? (ჩავეკითხები, თუ როგორ წარმოუდგენია გამოუცდელი კადრი საჯარო ბაღში მინიმუმ 35 ბავშვთან, ცუდად ხომ არ იმოქმედებს ეს ბავშვებზე ?)
4. პრაქტიკაში არსებული საჭიროებები გათვალისწინებულ იქნა თუ არა პროგრამის შედგენისას.
5. რა კვლევების საფუძველზე შედგა ეს პროგრამა
6. რა სირთულეებს წააწყდით პროგრამის შემუშავების პროცესში?
7. როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭირო იყო პროგრამის შემუშავებისას საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა ჩართულობა ამ პროცესში?
8. როგორ ფიქრობთ, ბაკალავრიატზე მიღებული განათლება და გამოცდილება საკმარისი იქნება კარგი კადრის მოსამადებლად?
9. შეძლებენ პედაგოგები მაინორ პროგრამის გავლას პარალელურად? თუ შეძლებენ რა პროგრამებს სთავაზობთ?
10. როგორ მიხვედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საჭირო იყო საბაკალავრო პროგრამის შექმნა? (ამდენი ხანი რატომა რ გახდა ამის საჭიროება?)
11. სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაც ხომ არ იგეგმება?

რესპოდენტთა ჯგუფები:

კვლევაში მონაწილეობდა 2 საჯარო და 3 კერძო ბაღის (ფრანგული სკოლის ბაღი-3; კერძო ბაღი „ბაია“ -5; კერძო ბაღი „მიუმიუ“- 3; 31-ე საჯარო ბაღი - 12; 107-ე საჯარო ბაღი - 7) 30 აღმზრდელ-პედაგოგი და პროგრამის 2 ხელმძღვანელი. რესპოდენტთა შერჩევა მოხდა მიზანმიმართულად, გათვალისწინებული იყო პირადი ინტერესები, აგრეთვე, კვლევაში მონაწილე პედაგოგებს უნდა ჰქონოდათ უმაღლესი განათლება.

კვლევის შედეგები:

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი ემსახურება საკითხის სიღრმისეულ შესწავლას. აღმზრდელ-პედაგოგებთან ინტერვიუს ანალიზის შედეგების ტრანსკრიპტის გაკეთების შემდეგ მოხდა მათი გაანალიზება, რის შემდეგაც გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

ინტერვიუების ანალიზი აღმზრდელ-პედაგოგებთან:

- ყველა რესპონდენტი არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი
- ყველა რესპონდენტს აქვს უმაღლესი განათლება
- უმაღლესთან ერთად პროფესიული განათლება (აღმზრდელ-პედაგოგის სპეციალობით) აქვს 7 მათგანს
- სოხუმის უნივერსიტეტში ეს პროგრამა გაიარა ხუთმა პედაგოგმა; გოგებაშვილის უნივერსიტეტში- შვიდმა. სამმა-ილიაში.
- ტრენინგი 25 რესპონდენტს გავლილი აქვს დასაქმების შემდეგ. ხუთს კი საერთოდ არ გაუვლია. ერთ-ერთი მათგანი კი ამბობს: *„არანაირი კურსები და ტრენინგები არ გამივლია, სამ შვილთან გავიარე სახლში“.*
- სტაჟის მიხედვით სამი ასაკობრივი კატეგორია გამოიყო: 2-დან 5წლამდე; 10-დან 20წლამდე; 30დან 35 წლამდე.

- კომპეტენციების შესახებ რესპონდენტთა უმეტესმა ნაწილმა გასცა ზოგადი პასუხი. მხოლოდ რამოდენიმე მათგანმა დაასახელა: „აუცილებელია ტოლერანტობა და მიმღებლობა“; „ მასწავლებელს უნდა შეეძლოს დაგეგმოს ყოველი გაკვეთილი, რათა ნაყოფიერი იყოს იგი“.
- გაუჭირდათ უნარების დასახელებაც, რომლებიც აუცილებელია პედაგოგისთვის. რამდენიმე მაგალითი: *შესაბამისი განათლება; კომუნიკაბელურობა; პროფესიონალიზმი; ყველა სფეროში რაღაც დოზით განვითარება; ბავშვების აზრების გათვალისწინება; ფასეულობების წარმოჩენა; დღის გეგმის სწორად შედგენა; კრეატიულობა; თვითდაჯერებულობა; ორგანიზებულობა.*
- ბავშვებთან ურთიერთობისას თითქმის ყველა მათგანს უჭირს მათი დაინტერესება, რასაც კომპიუტერს აბრალებენ. ასევე აწყდებიან კვებისას პრობლემებს, რადგან ბავშვებს თავიანთი ხელით ჭამა უჭირთ.
- თანამშრომლებთან და მშობლებთან, ფაქტობრივად, არცერთს აქვს პრობლემა. ერთ-ერთის თქმით : *„ყველა მშობელს სურს მისი შვილის ლიდერობა“*
- სასწავლო პროცესში ცვლილებების შეტანა არ სურს 18 პედაგოგს. 12 კი ძირითადად ასახელებს ბავშვების რაოდენობის შემცირებას თითოეული ჯგუფისთვის: *„ბავშვებს ხშირად გავიყვანდი შემეცნებით ადგილებში“; „20-25 ბავშვი რომ იყოს ჯგუფში პროცესი უფრო ნაყოფიერი იქნება“; „მეტი აქტივობა“; „გასვლითი ღონისძიებები“.*
- რესპონდენტთა თითქმის ნახევარი ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ მშობლები მეტ დროს დაუთმობენ ბავშვებს. ეთამაშებიან, წაუკითხავენ ზღაპრებს და ასწავლიან დამოუკიდებლად ჭამას- ეს კი მასწავლებლებს გაუადვილებს სასწავლო პროცესს და ისინი იზრუნებენ აღსაზრდელთა განვითარებაზე

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა რესპონდენტს აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ თითქმის არცერთი მათგანი არ იცნობს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს და

ვერ ასხვავებენ ტერმინებს, როგორიცაა: კომპეტენცია, ღირებულება, უნარი.

ინტერვიუ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან :

- საბაკალავრო პროგრამის შესაძლო მისანიჭებელი ხარისხი: - სკოლამდელი (ადრეული) განათლების ბაკალავრი (BA in Early Childhood Education)
- დარგობრივი მახასიათებლების მიზნები შემუშავებულ იქნა ეროვნული მოთხოვნებისა და საჭიროებების, სტანდარტების გათვალისწინებით.
- ვერცერთი რესპონდენტი ვერ მისახელებს, თუ რა იგულისხმება პრაქტიკაში, რომელსაც დაეთმობა 30 კრედიტი.
- პრაქტიკაში არსებული საჭიროებები გაითვალისწინეს პროგრამის შედგენისას, რაც განსაზღვრეს საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევებით.
- აღმზრდელ-პედაგოგის ჩართულობაზე ასეთი პასუხი მივიღეთ: *„უაღრესად საჭიროა პროგრამის შემუშავებისას საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა ჩართულობა, რადგან ბევრ ღირებულ ინფორმაცის გვაწვდიდნენ საბავშვო ბაღში საკუთარი გამოცდილების შესახებ, რაც სილაბუსების თემატიკის შედგენისას გვეხმარებოდა“.* თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედგენის პროცესში საბავშვო ბაღის პედაგოგები არ მონაწილეობდნენ.
- საბაკალავრო პროგრამის 4 წელი პროგრამის ხელმძღვანელებს სრულიად საკმარისად მიაჩნიათ და არ იგეგმება სამაგისტრო პროგრამა.

ზემოაღნიშნული საბაკალავრო პროგრამა ელოდება აკრედიტაციას.

დასკვნა

სამაგისტრო მაშრომი მიზნად ისახავდა სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების საკითხების განხილვას საქართველოში - არსებული ვითარების ანალიზს. ნაშრომის ფარგლებში განვიხილეთ ორი ქვეყნის (ბელგია და რუსეთი) პრაქტიკა და წარმოვადგინეთ მათი გამოცდილება აღნიშნული კუთხით. ჩვენ შევეხეთ მხოლოდ მომზადების ორ საფეხურს, ვაჩვენეთ მომზადების მოდელები პროფესიულ და საბაკალავრო დონეზე.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ორივე ქვეყნის შემთხვევაში მოსამზადებლი პროგრამები ეფუძნება აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების სტანდარტს და მასში წარმოდგენილი საგნები სრულად ეხმიანება მისსავე მოთხოვნებს.

საბაკალავრო პროგრამების ანალიზის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი:

- სტუდენტი განათლებას იღებს ძირითადად მეცნიერული კუთხით;
- საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს, სტუდენტი დაეუფლოს რამდენიმე მიმართულებას: განვითარების, მეთოდიკის, სამართლებრივი და მენეჯმეტის ხაზი;
- განსაკუთრებით დიდია პრაქტიკის ხვედრითი წილი, რომელიც პირველივე სემესტრიდან იწყება და სტუდენტს აძლევს საშუალებას, სწორად შეხედოს არჩეულ პროფესიას.

ეს მიმართულებები განსაკუთრებით კარგად გამოიკვეთა ბელგიის პროგრამების განხილვის დროს. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ასევე განვიხილეთ რუსეთის პედაგოგიური უნივერსიტეტის მოსამზადებელი საბაკალავრო პროგრამა, რომელშიც გამოყოფილია რამდენიმე განსხვავებული მოდული.

შეჯამების შედეგად შესაძლოა ვთქვათ, რომ პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი პრაქტიკასა და მეცნიერულ ხაზს, რომლის მიღწევასაც ხელს უწყობს

თეორიული და ფუნდამენტური საგნები, სხვადასხვა სახის პედაგოგიკა და დიდაქტიკა, პრაქტიკის ხაზიც მკვეთრად არის განვითარებული და ეყრდნობა რეალურ საჭიროებებს.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადება პროფესიულ დონეზე. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ საფეხურზე მომზადებას ახორციელებს საქართველოც, მოვახდინეთ სამი ქვეყნის-ბელგია,რუსეთი, საქართველო, პრაქტიკის შედარება, რის შემდეგაც შევძელით გამოგვეყო ძირითადი მახასიათებლები.

ორივე ქვეყნის შემთხვევაში ძირითად მოდულებში წარმოდგენილია: პედაგოგიური მიმართულებები, რუსეთის შემთხვევაში აქცენტი კეთდება თეორიულ ნაწილზე და გამოხატულია მკვეთრი ნაციონალური ხაზი, რაც შეეხება ბელგიას, აქ ძირითადი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ აქტივობებს- მუსიკა, სპორტი.

მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია ორივე შემთხვევაში არის განვითარების თეორიები, ეს ეხება, როგორც ადრეულ ასაკს ასევე გვიან სკოლამდელ პერიოდს. განვითარებაში მოიაზრება ტიპური და ატიპური მიმართულებები. ორივე ქვეყნის პრაქტიკა ითვალისწინებს ელემენტარული სწავლების მეთოდიკის ნაწილს სხვადასხვა მიმართულებებით, ესენია - მათემატიკა, მშობლიური ენა და მეტყველება. თუმცა ბელგიაში ენების ცოდნის ხაზი უფრო აქტიურად მოთხოვნადია, რადგან ეს ქვეყანა, ფაქტობრივად, სამენოვანია. ძირითადად ითხოვენ ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს.

რაც შეეხება საქართველოს, სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მომზადების პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტში ხორციელდება. თითოეულ პროფესიულ სასწავლებელსა და უნივერსიტეტს, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ პროგრამებს, სრულიად იდენტური კურიკულუმები აქვთ, მათ შორის განსხვავება მინიმალურია, რაც არ აძლევს სტუდენტს არჩევანის საშუალებას. შედარების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მცირეა პრაქტიკის ხვედრითი წილი, აგრეთვე მეთოდიკის ნაწილი. რაც შეეხება იმ ძირათად მიმართულებებს, რომლებზეც აქცენტი კეთდება ბელგიასა და რუსეთის

განათლების სისტებაში, საქართველოში განხორციელებულ პროგრამებში მათი პროცენტული მიმართება საერთო ჯამურ კრედიტების რაოდენობასთან საკმაოდ ნაკლებია. ამ შემთხვევაში იგულისხმება, განვითარებისა და სწავლების თეორიები, ინკლუზიური განათლება, მეთოდიკური ნაწილი და სამართლებრივი საკითხები, რომლებიც არეგულირებენ აღნიშნულ სფეროს. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ საბაკალავრო პროგრამა გაივლის აკრედიტაციას, მასში პრაქტიკის ხვედრითი წილი არც თუ ისე დიდია, მაგრამ გამოცდილებისთვის საკმარისი.

თეორიულ ნაწილის კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართული პროგრამები საჭიროებენ დახვეწას და ძირითადი მიმართულებებზე აქცენტის გაკეთებას.

ემპირიული კვლევის შედეგად გამოვყავით რამდენიმე საგანი, რომელიც არ არის წარმოდგენილი აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელ პროგრამებში და რომელთა საჭიროებას ხედავენ პრაქტიკის კვლევაში მონაწილე რესპონდენტები.

კვლევამ ცხადყო, რომ აღმზრდელ-პედაგოგები გამოყოფენ ორ ძირითად მიმართულებას, რომელთა ცოდნის აუცილებლობის საკითხი მნიშვნელოვანია პროფესიული საქმიანობის წარმატებულად დაგეგმვისათვის, ესენია:

- მეთოდიკის შესწავლა და სასწავლო გარემოს ფორმირების სხვადასხვა სტრატეგიის ცოდნა.

ისინი თვლიან, რომ მნიშვნელოვანია მოსამზადებლი პროგრამის განხორციელება საბაკალავრო დონეზე.

მიმართულებების კუთხით, მათ გამოყვეს შემდეგი საკითხები:

- მეთოდიკის ნაწილი;
- რთული ქცევის მართვის სტრატეგიები;
- ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვა, ბავშვის შეფასება;
- ჯგუფის მართვის სტრატეგიების ფლობა;
- პრაქტიკის მაღალი წილი მოსამზადებელ პროგრამებში.

- ფუნდამენტური მიმართულებები, რომლებიც შექმნის ღირებულებათა სისტემას.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებლი პროგრამები, რომელ საფეხურზეც არ უნდა ხორციელდებოდეს, საჭიროებენ მრავალფეროვან და ერთმანეთისგან განსხვავებულ კურიკულუმებს, რათა სტუდენტმა შეძლოს არჩევანის გაკეთება. მათში წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც განვითარებული ქვეყვების პრაქტიკა, ასევე ის მიმართულებები, რომლებიც გამომდინარეობს აღმზრდელთა კონკრეტული საჭიროებებიდან.

რეკომენდაციები

- ✓ აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამები უნდა განხორციელდეს **რამდენიმე საფეხურზე,** მათ შორის საბაკალავრო და სამაგისტრო.
- ✓ პროგრამებს შორის აუცილებლად უნდა იყოს **განსხვავებები** და არ უნდა სარგებლობდნენ აბსოლუტურად იდენტური კურიკულუმებით, როგორც ამჟამად ხდება.
- ✓ პროგრამებში უნდა დაინერგოს **პრაქტიკული მიმართულებები,** აქტივობები.
- ✓ **მეთოდიკას** უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება, ისევე როგორც **სწავლების თეორიებს.**
- ✓ სასურველია, აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელ პროგრამეში ისწავლებოდეს **სკოლამდელი განათლების სისტემა,** ის ელემენტარული სამართლებრივი და ნორმატიული საფუძვლები, რომელიც კურსდამთავრებულს დაეხმარება პროფესიულ ორიენტირში; პრაქტიკის კვლევამ კი აჩვენა, რომ პროფესიული სტანდარტის არსებობაც კი არ იცის პედაგოგთა ნაწილმა.
- ✓ კურიკულუმში უნდა გაიწეროს დღის **დაგეგმარების სწავლება** აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, რათა მათ სწორად შეძლონ დროის გადანაწილება.
- ✓ ასევე აღსანიშნავია, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება არახელსაყრელ **მდგომარეობაში მყოფი და დაუცველი ბავშვების** ჩარიცხვის მიმართ.
- ✓ **არაკვალიფიციური პერსონალისთვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის შექმნა.** აუცილებელია ყოველთვიური ტრეინინგები პედაგოგებისთვის, რათა მათ შეძლონ საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენა. მიიღონ ის განათლება, რაც თავად სჭირდებათ. პრაქტიკის კვლევის პროცესში ნათლად გამოიკვეთა, რომ ინკლუზიური განათლება, ფაქტობრივად, არცერთ პედაგოგს არ აქვს, თუმცა ს.ს.მ. და შ.ს.მ. ბავშვები საკმაოდ ბევრია საჯარო თუ კერძო ბაღებში.
- ✓ **ინტერკულტურული განათლების** ჩართვა აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, რათა სასწავლო პროცესში არ შეიქმნას რაიმე სახის პრობლემა არაქართველი ერის წარმომადგენლებთან.

- ✓ ნახევარდღიანი, **ხანმოკლე პროგრამების** შექმნა, რომლებიც არსებობს ევროპისა და ცენტრალური აზიის მრავალ ქვეყანაში. ეს არის ხარჯეფექტიანი მოდელი იმ მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა დაბალია. „ადრეული განათლების ეფექტიანი მომსახურებების კვლევიდან“ ვიცით, რომ წლის განმავლობაში 500 საათისაგან შემდგარ ნახევარდღიან (ყოველდღიურ) პროგრამებს შეიძლება ისეთივე დადებითი ზეგავლენა ჰქონდეთ, როგორც სრულგანაკვეთიან პროგრამებს. ეს ნახევარდღიანი პროგრამები, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების ჩართულობის გასაზრდელად, შესაძლოა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს.
- ✓ **დირექტორთა სატრენინგო პროგრამის შექმნა.** ეფექტიანი ხელმძღვანელობა მიიჩნევა *„უმნიშელოვანეს ფაქტორად საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებაში, მისწრაფებების გაზრდასა და ბავშვებისთვის, მშობლებისა და პერსონალისთვის მხარდაჭერის გაწევაში“* (ევროკავშირის საბჭო, 2009წ.).
- ✓ აღმზრდელებს, მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ სხვადასხვა **ექსპერტის მხარდაჭერა** პედაგოგიური „ქოუჩინგის“ გზით (რეგულარული კონსულტაციები, საკუთარი პრაქტიკის ანალიზის პროცესში უფრო გამოცდილი და კომპეტენტური სპეციალისტის დახმარება, რეკომენდაციების მიღება და ა.შ.), რაც გააუმჯობესებს საბავშვო ბაღებში არსებულ პრაქტიკას და შესაძლებელს გახდის ადრეული და სკოლამდელი განათლების ახალი ეროვნული სტანდარტების დანერგვას.
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელ-პედაგოგებს ხელი მიუწვდებოდეთ რესურსებსა და მასალებზე (სათამაშოები, საბავშვო წიგნები, დიდაქტიკური მასალა), რომელიც მათ დაეხმარება ახალი სტანდარტების და შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებაში და შექმნის განმავითარებელ გარემოს ბავშვებისთვის და ხელს შეუწყობს მშობელთა მონაწილეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი;
2. აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამა;
3. დ. ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, საქართველოს სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის, საუნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, თბილისი 1983;
4. მარინე ფალავანდიშვილი, საბავშვო ბაღის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1991, გვ. 80;
5. ქართული პედაგოგიკის ისტორია, საქართველოს სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974;
6. ქ. ჭკუასელი, ივ. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2012;
7. ქართული პედაგოგიკის ისტორია, საქართველოს სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974;
8. „ძირითადი სახელმძღვანელოსაბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის და საბავშვო ბაღის წესდება“ , საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, თბილისი, 1938;
9. Sylva, Kathy; Melhuish, Edward; Sammons, Pam; Siraj-Blatchford, Iram; Taggart, Brenda; (2004) The Effective Provision of Pre-School Education (EPPE) Project: Final Report: A Longitudinal Study Funded by the DfES 1997-2004. Institute of Education, University of London/ Department for Education and Skills/ Sure Start: London ;

10. профстандартпедагога.рф/профстандарт-педагога (Профстандарт педагога, პედაგოგის პროფესიული სტანდარტი);
11. R. SOETAERT, K. VANHEULE Teacher Education in Belgium. In: Teacher Education in Europe. Evaluation and Perspectives, 1996, pp. 47-69;
12. http://kids.org.ge/home (ბავშვ-ბაღების სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი) ;
13. http://www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo (სკოლამდელი განათლების სტრუქტურა);
14. http://ggpi.org/files/LyapustinaVL.pdf (ИСТОРИЧЕСКИЙ АСПЕКТ РАЗВИТИЯ ДОШКОЛЬНОГО ОБРАЗОВА НИЯ В РОССИИ);
15. http://mpgu.su/ob-mpgu/struktura/faculties/fakultet-doshkolnoy-pedagogiki-i-psihologii-2/bakalavriat/doshkolnoe-obrazovanie-44-03-01-ochno-zaochnaya-forma-obucheniya/
16. https://www.psychologytoday.com/intl/blog/freedom-learn/201507/k-preschool-teachers-last-stand-in-war-childhood
17. https://teachingcouncil.nz/sites/default/files/Standards_for_kindergarten_teachers.pdf (პროფესიული სტანდარტი);
18. https://www.expatica.com/be/living/family/preschool-options-in-belgium-100216/
19. http://www.seepro.eu/English/pdfs/BELGIUM_Key_Data.pdf Inge Schreyer and Pamela Oberhuemer - BELGIUM Key Contextual Data page 3 ;
20. http://www.cultureeducation.ugent.be/files/Teacher_Education_in_Belgium.PDF
21. https://www.unicef.org/georgia/media/1231/file/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Verulidze Natia

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Issues of training educator-teacher for preschool education in Georgia - analysis of the current circumstances.

Master's thesis advisor: Rusudan Sanadze

Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU

Tbilisi 2019